# საერთო გაზეთი

№30 (580) • 30 სექტემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## „ქართულო ოცნებავ“, არცერთი ნაბიჯი უკან! თქვენს უკან საქართველოა!



შეიძლება მხარს არ უჭერდე ქართულ ოცნებას, მაგრამ როგორ შეიძლება მხარს უჭერდე მიხეილ სააკაშვილს და ნაცმოძრაობას, რომელსაც უამრავი უმძიმესი დანაშაული აქვს ჩადენილი?როგორ შეიძლება ვერ ხვდებოდე, რომ, როცა ამას აკეთებ, შენც თანამონაწილე ხარ ამ დანაშაულისა, შენც დამნაშავე ხარ!



## ლუკა კურტანიძე: ბიძინა ივანიშვილი ღვთისგან დალოცვილი ერისკაცია



## ნაცმოძრაობის სია, ანუ ნაციონალური მწნილი, დამჭკნარი კიტრებით და გადამწიფებული პომიდვრებით

## ნაცმოძრაობა – მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან



ნაცებს მხოლოდ სამარე გაასწორებს და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ისე მყარად ჩავტენოთ პოლიტიკურ საფლავში, მათი რეანიმაცია ვერასდროს, ვერცერთმა მაგიურმა ძალამ ვეღარ გაბედოს!

## ეროვნული ვალუტა სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა და მისი მიზანმიმართული დისკრედიტაცია კანონით უნდა ისჯებოდეს

## ვინც ამბობს, რომ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში არ შევლენ, ავტომატურად აკეთებენ დაშვებას – კოალიციას „ნაციონალებთან“ შექმნიან



## საქართველოს მომავლის მესაძირკვლე

## არა ნაცმოძრაობას! არა მკვლელების პარტიას!

# „ქართულო ოცნებავ“, არცერთი ნაბიჯი უკან! თქვენს უკან საქართველოა!



**შეიძლება მხარს არ უჭერდე ქართულ ოცნებას, მაგრამ როგორ შეიძლება მხარს უჭერდე მიხეილ სააკაშვილს და ნაცმოძრაობას, რომელსაც უამრავი უმძიმესი დანაშაული აქვს ჩადენილი? როგორ შეიძლება ვერ ხვდებოდე, რომ, როცა ამას აკეთებ, შენც თანამონაწილე ხარ ამ დანაშაულისა, შენც დამნაშავე ხარ!**

თავიდანვე ვიტყვი: „ქართული ოცნების“ კოალიციურ მთავრობაზე ფიქრიც კი ქვეყნის ღალატია!

არათუ რაღაც ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით, არათუ კომპრომისული ვარიანტების ძებნა და ამ თემაზე დისკუსიების და დისპუტების გამართვა, არათუ ამ თემის ფართოდ გაშლილი პროპაგანდა, არამედ, როგორც ვთქვი, „ქართული ოცნების“ კოალიციურ მთავრობაზე ფიქრი და თუნდაც თეორიულ დონეზე ამის დაშვებაც კი ქვეყნის ღალატია, რადგან მოცემულ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ ვითარებაში კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება ოპოზიციური პარტიების მიერ ნიშნავს გარდაუვალ დესტაბილიზაციას, კრიზისს, არასტაბილურობას, გამწვავებულ ურთიერთობებს პოლიტიკურ პარტიებსა თუ სხვადასხვა ჯგუფებს შორის, სახელმწიფო ინსტიტუციების დასუსტებას, კრიმინალის გაძლიერებას, მთავრობის მუდმივ ცვლას, ახალ-ახალი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობას და ა.შ.

ჩვენ არც გერმანია ვართ, არც ინგლისი, რომლებიც მყარ სახელმწიფოებრივ ფუნდამენტზე დგანან და დემოკრატიული ღირებულებების მიხედვით ცხოვრების საუკუნოვანი გამოცდილება აქვთ. ისინი, პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად, მაღალი სეისმოლოგიური მდგრადობის ქვეყნები არიან და, ცხადია, შედარებით ადვილად შეუძლიათ გადაიტანონ მძლავრი ბიძგები. ჩვენ კი ჯერ კიდევ სუსტი და მყიფე სახელმწიფო ვართ, რომელიც მკვეთრ რყევებს ვერ გაუძლებს.

არც ის დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი საოკუპაციო ჯარებს აქვთ დაკავებული, ხოლო თუ კარგად მიმოვიხედავთ გარშემო, აღმოვაჩენთ, რომ ოთხივე მხრიდან გამოთოფილი ვართ.

აი, ასეთ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოსთვის ოპოზიციური პარტიების მიერ შეკოწიწებული კოალიციური მთავრობა და ის სირთულეები, რაც ასეთი მთავრობის არსებობას მოსდევს თან, შეიძლება, დამღუპველი აღმოჩნდეს და ოცდაათი წლით უკან, გასული საუკუნის 90-იან წლებში, გადაგვისროლოს.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რა სიტუაციაა დღეს კოვიდ-ეპიდემიასთან დაკავშირებით არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ დღეს საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტაბილურობა, ეროვნულობა თანხმობა, ერთიანობა, რაც კოალიციური ხელისუფლების პირობებში თითქმის გამორიცხულია.

ქართულ სინამდვილეში, სხვადასხვა სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით, თუნდაც ქართული ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ჯგუფების ერთ გუნდად შეკვრა რომ უტოპიაა, ეს სულ ახლახან ოპოზიციის თავს გადახდენილმა მწუხარე თავგადასავალმაც დაადასტურა, როცა გაერთიანებულ ოპოზიციად მობლანდული ერთობა, კოალიციური ხელისუფლების მინი-მოდელი, დროის მცირე მონაკვეთში, „ფაჩიკოს გარმონივით“ დაიშალა და ამ ერთობაში შემავალი სუბიექტები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

დავუშვათ, მოხდა სასწაული — „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაიმარჯვა და ამ ოპოზიციურმა პარტიებმა კოალიციური ხელისუფლების ჩამოყალიბება შეძლეს.

მერე როგორ წარმოგიდგენიათ ამათი თანამშრომლობა, როცა ასე არ უყვართ ერთმანეთი, როცა ასე სძულთ ერთმანეთი?

ახლა ვერ მოუხერხებიათ ერთი საერთო მიზნის გარშემო გაერთიანება და ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როცა ბევრი რამ იქნება გასანაწილებელი და გასაყოფი, დასათრევი და წასაგლეჯი, როგორ მოახერხებენ უარი თქვან ძვალ-რბილში გამჯდარ მგლურ ინსტინქტებზე?

ესენი ახლა, არჩევნების წინ, ამომრჩევლების გულის მოსაგებად და საცთუნებლადაა ენას რომ იჩლექენ და ქვეყნის და ხალხის თავდადებულ მსახურებად წარმოაჩენენ თავს, თორემ, სინამდვილეში, მათ უმრავლესობას ხაზინის ქურდობის, ყაჩაღობის, კორუფციის, სახელმწიფო ინტერესების ღალატის, ქვეყნის გაყიდვის უმძიმესი ცოდვები აწევთ მხრებზე და ხვალაც იგივეს გააკეთებენ, რაც გუშინ თუ გუშინწინ უკეთებიათ.

მართალია, ისინი ლაპარაკით ბევრს ლაპარაკობენ კოალიციაზე და კოალიციური ხელისუფლების სიკეთეებზე, თუმცა ეს ყველაფერი მათ იმიტომ კი არ აინტერესებთ, რომ ეს სიკეთეები ქართული სახელმწიფოსთვის იქნება ხელსაყრელი, არამედ იმიტომ, რომ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების პროცესში თითოეულ ხმას ოქროს ფასი ედება, სარფიანი ვაჭრობის და აღებ-მიცემობის დიდ შესაძლებლობას იძლევა.

ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ ითანამშრომლებენ „ქართულ ოცნებასთან“ და მასთან კოალიციაში არ შევლენ, თუმცა შესანიშნავად იციან, რომ „ქართული ოცნების“ გარეშე კოალიცია მაქსიმუმ, ორ-სამ თვეზე მეტ ხანს ვერ გასტანს. ეს ვარიანტი ყველაზე მეტად ერთ-ერთ პოლიტიკურ სუბიექტს — „ნაცმოძრაობას“, რომელსაც კოალიციური იწილობიწილო მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის ჭირდება, რომ კოალიციის მეშვეობით „ქართული ოცნება“ გააძევოს პოლიტიკური ასპარეზიდან, შემდეგ კი კოალიცია დაშალოს და კვლავ დაბრუნდეს ხელისუფლებაში, როგორც ქვეყნის ნომერ პირველი პოლიტიკური ძალა.

ვერ გეტყვით, ხვდებიან თუ არა „ნაცმოძრაობის“ ამ მზაკვრულ ჩანაფიქრს ის წვრილ-წვრილი პარტიები, რომლებიც გზადაგზა შესაჭმელად ჰყავს შეამხანაგებული და დამგზავრებული შორი მიზნისკენ შორი გზით მიმავალ „ნაცმოძრაობას“.

არის კიდევ ერთი ვარიანტი კოალიციური მთავრობის შესაქმნელად — „ნაცმოძრაობას“ პლუს „ევროპული საქართველო“, რაც, ჯამში, „ნაცმოძრაობის“ სრულ რეანიმაციას უდრის თავის მკვდრებიან- ცოცხლებიანად.

**რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ, როგორც არ უნდა გადავატრიალ-გადმოვატრიალოთ, კოალიციური მთავრობა „ქართული ოცნების“ გარეშე ეს არის „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება ხელისუფლებაში.**

ეს გინდათ? ამას უწევს გამალებულ პროპაგანდას ქართული მედიის ერთი ნაწილი, არასამთავრობოები, ფსევდო-ექსპერტები, ფსევდო-ანალიტიკოსები, ფსევდო-პოლიტოლოგები, ფსევდო-პოლიტიკოსები?

კოალიციურ მთავრობაზე, როგორც უკვე შემდგარ ფაქტზე, უკვე მომხდარ ამბავზე, ისე ლაპარაკობენ ოპოზიციური პარტიები და პორტფელებს აქიდანვე იყოფენ და ინაწილებენ.

უკვე რამდენიმე პრემიერ-მინისტრი გვყავს, რამდენიმე მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარეებიც ბლომად არიან.

„მთავარი“, „ფორმულა“, „ტვ პირველი“, „კავკასია“ და მათ მარაქას მეცამეტე გოჭივით ადევნებული „რუსთავი-2“-ი დილიდან დილამდე სულ იმას უჩიჩინებენ მაყურებელს, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეძლებს ორმოცდაათპროცენტიანი ბარიერის გადალახვას და, აქედან გამომდინარე, კოალიციური მთავრობის შექმნა გარდაუვალია.

ამ „პროგნოზის“ დასადასტურებლად და განსამტკიცებლად მოჰყავთ გაურკვეველი წარმომავლობის კომპანიების სოციოლოგიური კვლევების შედეგები ურთიერთგამომრიცხავი მაჩვენებლებით, აბსურდული და დემაგოგიური კითხვებით.

მართალია, ეს კვლევები დიდი ხანია გასცდა სერიოზული კვლევების ჩარჩოებს და ამომრჩეველზე ფსიქოლოგიური ზეწოლის, მანიპულაციის და სპეკულაციის ინსტრუმენტად იქცა, თუმცა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ის მაინც ახდენს გარკვეულ ზეგავლენას.

ვის შეიძლება ყველაზე მეტად ხელს აძლევდეს რეალობის გაყალბება და საქმის ისე წარმოჩენა, თითქოს „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს არჩევნებში გამარჯვებას და დღის წესრიგში გარდაუვალად დადგება კოალიციური ხელისუფლების შექმნის საკითხი?

რა თქმა უნდა, მოვლენათა მსგავსი განვითარება ყველაზე მეტად ოპოზიციურ პარტიებს აწყობთ და ამაში გასაკვირი არაფერია, თუმცა გასაკვირი ის არის, რომ კოალიციური მთავრობის შექმნის იდეას, პირდაპირ და ღიად არა, მაგრამ მინიშნებებით, ბილინგვური მესიჯებით და დიპლომატიურად შენიღბული ქვეტექსტებით, საერთაშორისო დემოკრატიული



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თანამეგობრობის თუ პარტნიორი სახელმწიფოების ადმინისტრაციების წარმომადგენელთა ერთი ნაწილიც უჭერს მხარს, რომლებმაც არ შეიძლება არ იცოდნენ, თუ რა საბედისწერო საფრთხეების შემცველია მოცემულ პოლიტიკურ ვითარებაში ერთმანეთს დაპირისპირებული პოლიტიკური ძალებისგან შეკოწიწებული კოალიციური ხელისუფლების მოსვლა ქვეყნის მართვის სათავეში.

ხელისუფლების ცვლილების ერთ-ერთ მთავარ მოტივად სახელდება ის გარემოება, რომ „ქართული ოცნება“ უკვე რვა წელია ხელისუფლებაშია და, აქედან გამომდინარე, მაღალი დემოკრატიული სტანდარტების მიხედვით, უფრო კანონზომიერი იქნება, თუ მას სხვა პოლიტიკური ძალა ჩაენაცვლება.

გასაგებია, მისაღებია, მაგრამ რატომ არ ვითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ ძალა, რომელიც „ქართული ოცნების“ ჩასანაცვლებლად ემზადება, რვა წელი კი არა 25 წელია ხელისუფლებაშია სხვადასხვა სტატუსით და ამ ხნის განმავლობაში ამ ძალას უამრავი მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი.

„ქართულ ოცნებას“ შეიძლება შეცდომებიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ამ ბოროტ ძალასთან შედარებით, „ქართული ოცნება“ ანგელოზთა კრებულია, რომელსაც სამჯერ, ოთხჯერ მეტი საქმე აქვს გაკეთებული, ვიდრე ამ პოტიომკინის შთამომავალ ბაქიბუქა და ცრუქაქუნა ძალას.

**რომელია უფრო სწორი დემოკრატია — ის, რომ დამნაშავეები უკან, ხელისუფლებაში დავაბრუნოთ იმის გამო, რომ „რიგმა მოუწიათ“, თუ ის — დამნაშავეები განსასჯელის სკამზე დავსვათ და მათ მიერ ოკუპირებული პოლიტიკური სივრცე გამოვათავისუფლოთ, რათა დანარჩენმა ოპოზიციურმა სპექტრმა არსებობა და განვითარება შეძლოს?**

განა საიდუმლოს წარმოადგენს ვინმესთვის, რომ ის სასიცოცხლო სივრცე, ის ასპარეზი, სადაც პოლიტიკოსთა ახალი თაობები უნდა გაიზარდოს, „ნაცმოძრაობას“ და მის განაყოფებს აქვთ მოკავებული.

ისეთი დაჟინებით მოგვიწოდებენ, რომ არჩევნები სამართლიანად, დემოკრატიულად, ობიექტურად ჩავატაროთო, თითქოს ვინმე აპირებდეს არჩევნების არასამართლიანად, არადემოკრატიულად, არაობიექტურად ჩატარებას.

„ქართულ ოცნებას“ დღეს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს და, ცხადია, მას არჩევნების გაყალბება და სხვადასხვა აკრძალული მეთოდების გამოყენება არჩევნების მოსაგებად, უბრალოდ, არ სჭირდება.

მაშინ რას უნდა ნიშნავდეს ეს ხაზგასმულად მრავალგზის განმეორებული მოწოდება არჩევნების სამართლიანად ჩატარების შესახებ?

იმას ხომ არა, რომ არჩევნები სამართლიანად კი არა, ისე უნდა ჩატარდეს, რომ, ჯამში, კოალიციური ხელისუფლების შექმნის აუცილებლობა დადგეს.

თუ ასე მოხდება, არჩევნები სამართლიანად ჩატარებულად ჩაითვლება, მაგრამ თუ „ქართული ოცნება“ ყოველგვარი გაყალბების გარეშე დამსახურებულად გაიმარჯვებს, არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა მაინც ეჭვქვეშ დადგება?

**ასე იყო 28 წლის წინათაც, როცა ვერაფერი გავაგებინეთ იმ ადამიანებს, რომლებმაც დემოკრატიის „გადასარჩენად“ „დიქტატორ“ ზვიად გამსახურდიას დამარცხება დაისახეს მთავარ მიზნად და დაამარცხეს კიდევაც, თუმცა მასთან ერთად საქართველოც დაამარცხეს. ახლა ბიძინა ივანიშვილის დამარცხებისკენ მოგვიწოდებენ ვიღაც-ვიღაცები და, ღმერთმა ნუ ქნას და ეს რომ მოახერხონ, საქართველოში გაცილებით უარესი ამბები მოხდება, ვიდრე გამსახურდიას დამარცხების შემდეგ მოხდა.**





სამწუხაროდ, მსგავსი პრეცედენტები მსოფლიოში უკვე არსებობს და სულაც არ არის გამორიცხული, ასეთი „ექსპერიმენტის“ ჩატარება საქართველოშიც მოინდომონ.

რატომაც არა? ჩვენ ხომ განვითარებადი ქვეყანა ვართ და დემოკრატიაც და სხვა სიკეთეებიც სხვებმა უნდა გვასწავლონ, თორემ დამოუკიდებლად, აბა, რას მივხვდებით, რა უნდა ვაკეთოთ და როგორ უნდა მოვიქცეთ?

საქართველო, უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყანა შევარდნაძემ შესვა განვითარებადი ქვეყნის სტატუსზე, როგორც ნარკოტიკზე. მისი მემკვიდრე, მის მიერ დატოვებული „პრინცი“ — სააკაშვილი და მისი უცხოელი კნეინა, ამ აზრს კიდევ უფრო ამყარებდნენ და მთელ მსოფლიოს უმტკიცებდნენ, რომ ქართველები ერთი კეპკიანი, ნახევრად ველური ერია, რომელსაც ვერაფერს შეაგნებინებ თუ მკაცრად არ მოექცევი, რომ ამით გაემართლებინათ ის სადისტური მეთოდები, რომლებსაც „ნაცმოძრაობა“ ქართველების „აღსაზრდელად“ და „გასაწვრთნელად“ იყენებდა.

ყოველივე ამის შემდეგ რატომ გვიკვირს, ვიღაც-ვიღაცები, ჩვენ, უბირებს და უწიგნურებს, დემოკრატიას რაღაც ახალი რედაქციით ახალი, გადაკეთებული ვარიანტით რომ გვასწავლიან, სადაც სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა, ბოკერია — დემოკრატიის ჩირაღდანი, განგსტერი ჟორიკა რურუა კი, პოლიტპატიმარი.

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, „ქართული ოცნების“ გარეშე კოალიციურ მთავრობაზე ფიქრიც კი ქვეყნის ღალატია!

კი, მაგრამ, ამდენი მოღალატე ჰყავს ამ ქვეყანას, ათი კაციდან სამი მაინც კოალიციაზე რომ ტიკტიკებს?

ცხადია, ამ სამიდან სამივე მოღალატე არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სამიდან სამივეს სახელმწიფოებრივად აზროვნება და იმის გაცნობიერება უჭირს, რას რა შეიძლება მოჰყვეს?

ჩვენ ერთი ცუდი ზნე გვჭირს — ჯერ გადაწყვეტილებას ვიღებთ, შემდეგ კი ფიქრს ვიწყებთ, რაც უკან მიდევნებულ ლამპარს ჰგავს, ხოლო უკან მიდევნებული ლამპარი წინ ვერ გაგინათებს გზას.

ამიტომაცაა ჩვენი ცხოვრება ასე მოწყობილი — უკან სინათლეა, წინ სიბნელე.

იქ, სიბნელეში სხედან ახალი დროის „განმანათლებლები“: ვაშაძეები, ბაქრაძეები, ბოკერიები, სამადაშვილები, ხოშტარიები, ნათელაშვილები, სანიკიძეები, გვარამიები, კვესიტაძეები, გრიგოლიები და ერს არწმუნებენ, რომ ქვეყნის ხსნა და შველა კოალიციურ მთავრობაშია. ეს იმ დროს, როცა პირიქითაა ყველაფერი.

გასაოცარი ის არის, რომ პოლიტიკური ძალები თუ ცალკეული სუბიექტები, რომლებიც კოალიციური იდეის გამალებულ პროპაგანდას ეწევიან, თავს პროდასავლელებად წარმოაჩენენ და პირდაპირ მიანიშნებენ, რომ იქ, დასავლეთში, ერთპარტიული მმართველობის დასრულებას და ხელისუფლებაში კოალიციური გაერთიანების მოსვლას მიესალმებიან.

მოდით, კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვა, რომელიც წერილში ერთხელ უკვე დავსვით — ქვეყნის შიგნით, გასაგებია, მაგრამ ქვეყნის გარეთ, ვის აწყობს ყველაზე მეტად საქართველოში სიტუაცია აიჭრას და არასტაბილური ფეთქებადსაშიში ვითარება შეიქმნას?

პასუხი ამ კითხვაზე ცალსახაა — ვის აწყობს და რუსეთს, ამის მისაღწევად კი „ქართული ოცნების“ თამაშიდან გამოთიშვა და ჭრელი, ამორფული კოალიციური „ერთობის“ ხელისუფლებაში მოსვლა რუსეთისთვის უაღრესად ხელსაყრელი და მომგებიანი იქნება, რადგან, ამ შემთხვევაში, რუსეთს პროცესების მართვის და მათი მიმართულებების განსაზღვრის მეტი ბერკეტი უჩნდება.

ოპოზიციას თუ დავუჯერებთ, დასავლეთი ხელისუფლების ცვლილებას და კოალიციური მთავრობის შექმნას მიესალმება.

კი, მაგრამ, რატომ მიესალმება დასავლეთი იმას, რაც ყველაზე მეტად ხელსაყრელია რუსეთისთვის?

რატომ აიჭრა ბოლო ხანებში ასე უცნაურად ერთმანეთში დასავლეთი და რუსეთი?

რატომ გრძელდება და რატომ განივრცობა ეს ისედაც ვრცელი და უკიდეგანო რუსეთი დასავლეთშიც და რატომ გვიღერებს ხოლმე მუშტს და რატომ გვიქნევს უხილავ თითს ხან აშშ-ს კონგრესიდან, ხან — ევროპარლამენტიდან, ხან — რომელიმე ცნობილი და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ტრიბუნიდან?

როგორ და რანაირად ხდება, რომ ზოგიერთი კონგრესმენის თუ ევროპარლამენტარის პოზიცია პირდაპირ რუსულ წისქვილზე ასხამს წყალს?

ამავე წისქვილზე რატომ ასხამს წყალს ადგილობრივი წარმოების ე.წ. პროდასავლური ორიენტაციის ქართული ოპოზიციის წარმომადგენელთა ქმედებები, მათი სიტყვა და საქმე?

დაბოლოს, რატომ იწოდება პროდასავლურად ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი რუსებს უფეშქაშა და რაც გვქონდა ღირებული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი — რუსებს გადაულოცა.

აი, ეს ძალა და მისი ბელადი, სააკაშვილი, პროდასავლური ძალაა და ჩვენ, დანარჩენმა საქართველომ, ისე „სამართლიანად“ და დემოკრატიულად უნდა ჩავატაროთ არჩევნები, რომ ეს ძალა როგორმე კვლავ მობრუნდეს ხელისუფლებაში და კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბოს?

**რამდენიმე „როტად“ დაყოფილი „ნაცმოძრაობა“ კვლავ უტევს საქართველოს და თუ საწადელს მიაღწია, დარწმუნებული ვარ, პირველი, რასაც გააკეთებს, მოსკოვში დეპეშას აფრენს: მოსკოვი, კრემლი, ვლადიმერ პუტინს! თბილისის თავზე რუსეთის დროშა ფრიალებს! გილოცავთ!**

რევკომის სახელით — მიხეილ სააკაშვილი.

●

„ქართულო ოცნებავ“, არც ერთი ნაბიჯი უკან! თქვენს უკან საქართველოა! — ჩემი ნება რომ იყოს ასეთ პლაკატს გავაკრავდი ყველგან, რომ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ არჩევნებში „ქართული ოცნების“ სახელით მონაწილეობენ, კიდევ ერთხელ შემეხსენებინა, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ არჩევნებს და რა დიდი პასუხისმგებლობა აწევს თითეულ მათგანს ქართველი ხალხის წინაშე, საქართველოს წინაშე...

თუმცა მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ არ აწევს ცალმხრივად პასუხისმგებლობა საქართველოს წინაშე.

ეს პასუხისმგებლობა თანაბრად ნაწილდება მთელ ქართველ ხალხზე, თითეულ ქართველზე, რომლისთვისაც ძვირფასია თავისი ქვეყნის ბედი.

შეიძლება მხარს არ უჭერდე ქართულ ოცნებას, მაგრამ როგორ შეიძლება მხარს უჭერდე მიხეილ სააკაშვილს და ნაცმოძრაობას, რომელსაც უამრავი უმძიმესი დანაშაული აქვს ჩადენილი?

როგორ შეიძლება ვერ ხვდებოდე, რომ როცა ამას აკეთებ, შენც თანამონაწილე ხარ ამ დანაშაულისა, შენც დამნაშავე ხარ!

შენც დამნაშავე ხარ და შენც მზად ხარ, მოკლა, აწამო, დაამცირო, იძალადო, წაართვა, დააყაჩაღო, ქვეყანას უღალატო, ქვეყანა გაყიდო და გაასხვისო.

და როცა 500 000-მდე ასეთი ადამიანი ჰყავს ქვეყანას, იმას რა უნდა ეშველოს, იმან როგორ უნდა მოითქვას სული, როგორ უნდა დალაგდეს, როგორ უნდა განვითარდეს?

როცა ამაზე ვფიქრობ, სისხლი მეყინება ძარღვებში და სიცოცხლე არ მინდა უღონობის და უილაჯობის გამო, იმის გამო, რომ შეიძლება ვერაფერი გავაგებინოთ, ვერაფერი შევასმინოთ ამ ადამიანებს.

ასე იყო 28 წლის წინათაც, როცა ვერაფერი გავაგებინეთ იმ ადამიანებს, რომლებმაც დემოკრატიის „გადასარჩენად“ „დიქტატორ“ ზვიად გამსახურდიას დამარცხება დაისახეს მთავარ მიზნად და დაამარცხეს კიდევაც, თუმცა მასთან ერთად საქართველოც დაამარცხეს.

ახლა ბიძინა ივანიშვილის დამარცხებისკენ მოგვიწოდებენ ვიღაც-ვიღაცები და, ღმერთმა ნუ ქნას და ეს რომ მოახერხონ, საქართველოში გაცილებით უარესი ამბები მოხდება, ვიდრე გამსახურდიას დამარცხების შემდეგ მოხდა.

რატომ შეიძლება ეს მოხდეს ამის შესახებ უფრო დაწვრილებით „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში მოგახსენებთ, ახლა კი კიდევ ერთხელ გავიმეორებ: „ქართულო ოცნებავ“, არცერთი ნაბიჯი უკან! თქვენს უკან საქართველოა!

**ვახტანგ ხარჩილავა**

## ლუკა კურტანიძე:

# ბიძინა ივანიშვილი ღვთისგან დალოცვილი ერისკაცია

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია ყოფილი პარლამენტარი ლუკა კურტანიძე:*

**— ლუკა, საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შედის. „ქართულმა ოცნებამ“ უკვე წარადგინა საპარლამენტო სია. რას იტყვით, მის წევრებზე?**

— ქვეყანა წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაშია ჩართული, პოლიტიკური პარტიების ნაწილი ისტერიაშია — ზოგი კოალიციური მთავრობის შექმნაზე საუბრობს და პორტფელებს ინაწილებს. საქართველოში არჩევნები, ყოველთვის, განსხვავებულად, ემოციურად ტარდება, ადამიანები თავიანთი ქცევებით გვაკვირვებენ. მართლაც გასაოცარია, როგორ იცვლიან ადამიანები ფერს, პარტიები კი სოფლმხედველობას. რბილად რომ ვთქვათ, ეს რთულად შესაგუებელია. ვფიქრობ, თავად საზოგადოებაც მივა იმ დონემდე, რომ ასეთ აშკარად სახეცვლილ პოლიტიკოსებს, პარტიებს, საერთოდ, უარი უთხრას და პოლიტიკური ველიდან ალაგმოს. არჩევნებში მონაწილეობისთვის 60-მდე პარტია დარეგისტრირდა. ეს განსაცვიფრებელი ციფრია.



რეალურად, პარტიების რიცხვი გაცილებით მეტია, დაახლოებით, 200-მდე. დიდი ამბიციების ქვეყანა კი ვართ, მაგრამ ასეთი?! რაც შეეხება „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიას, ბევრ მათგანს ვიცნობ, ბევრსაც — არა. ზოგიერთი წევრის მიმართ კითხვის ნიშნები არსებობს. ვერ გეტყვით, რომ „ქართული ოცნება“ სხვა პარტიებისგან გამოირჩევა, თუნდაც, ადამიანური რესურსით. ასე, არ არის, კითხვის ნიშნები ნამდვილად არის. უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს მოსაზრებებში თავისუფალი ვარ. ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მრწამსი ასეთია: პარტიაში ადამიანებს განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს, პასუხისმგებლობას თანაბრად ვინაწილებთ. ჩემი დამოკიდებულება ერის კაცის მიმართ, მთელმა ქვეყანამ იცის. მის სახელსა და გვარს, ხშირად, არ ვახსენებ. მას როგორც დალოცვილს ისე ვიხსენიებ პირად საუბრებშიც და ზოგადადაც. დალოცვილია იმიტომ, რომ ერთმა ადამიანმა სამშობლოსთვის ამდენი რამის გაკეთება რომ შეძლოს, ძალიან დიდი ძალა უნდა ჰქონდეს. დიახ, ადამიანი, სწორედ, ღმერთისგან უნდა იყო დალოცვილი, რათა ყოველდღიური გრაფიკით სამშობლოზე იზრუნო, თან ქმედებით და არა სიტყვით. ლამაზი, მაღალფარდოვანი სიტყვები ბევრისგან გვსმენია, მაგრამ მათ დამოუკიდებლად ქვეყნისთვის ერთი ფარეხიც არ აუშენებიათ. ლაპარაკი ბევრისგან გვსმენია, მაგრამ ქმედებით საქმეს მხოლოდ ერთეულები აკეთებენ. ამიტომაც ვაძლევ ჩემს თავს უფლებას ბიძინა ივანიშვილს ერის კაცი ვუწოდო. მლიქვნელურად კი არა, არამედ მისი ქმედებებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ივანიშვილის გუნდში ყოფნა საამაყოა, მაგრამ ასევე დიდი პასუხისმგებლობაცაა. ჩემს თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი: დიახ, ბოლო ამოსუნთქვამდე ბიძინა ივანიშვილის თანამებრძოლი ვარ და ჩემს მოსაზრებებში თავისუფალი ვარ. თუ ვინმე გასაკრიტიკებელია, არც ამის მომერიდება. როგორც ვახსენე: მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებშიც და საპარლამენტო სიაშიც არიან ადამიანები რომლებმაც ფერი იცვალეს, მაგრამ წარსულის შეცდომები მოინანიეს და ახლა სურთ სიმართლე კბილებით გაიტანონ. ამას მივესალმები, მაგრამ კითხვის ნიშნები მანამ იარსებებს სანამ ამ ადამიანების გულწრფელობაში არ დავრწმუნდებით. ზოგადად, ამის თქმა შემიძლია.

**— თქვენ ამბობთ: ადამიანებმა საკუთარი სახე გამოაჩინეს, ფერი იცვალესო. „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ ბევრი ერთმანეთისგან განსხვავებული იდეოლოგიის ადამიანი მიუჯდა ერთ მაგიდას. თქვენ, ნინო ბურჟანაძეს ბოკერიას და ვაშაძის გვერდით ყოფნა დაუწუნეთ, მან კი გიპასუხათ: ლუკას, პოლიტიკა არ ესმისო.**

— არა, ნინო ბურჯანაძემ თქვა: ასეთი პოლიტიკა, ლუკას, არ ესმისო. აბსოლუტურად ვეთანხმები: ასეთ პოლიტიკას, მე, ვერასდროს გავიგებ. უფრო სწორად, ყველაფერი ძალიან კარგად მესმის, მაგრამ ეს ბინძური პოლიტიკაა და ბურჯანაძის „ნაცების“ გვერდით ყოფნა იმ პრინციპების ღალატია, რითაც ჩვენ დამნაშავე სააკაშვილის რეჟიმს ვებრძოდით. მაშინ ადამიანები დაიღუპნენ, დასახიჩრდნენ, მათ ღირსება აყარეს, კერძო საკუთრება წაართვეს, უსმენდნენ, დააშანტაჟეს, დაასმინეს, და ა.შ. ამ ადამიანების გონებაში ბურჟანაძის მიერ გადადგმული ნაბიჯი, რბილად რომ ვთქვა, იმ იდეების ღალატია. ჩვენ 26 მაისს ამ იდეებისთვის ვიბრძოდით. ათასობით ადამიანი ვინც ჩვენთან ბოლომდე შემორჩა, ლიდერებს გვეუბნებოდნენ: თუ თქვენ ახლა სახლში წახვალთ, თითოეული თქვენთაგანი მოღალატე იქნებაო. ამ ათასობით ადამიანიდან მაშინ ზოგი სტადიონისკენ წაიყვანეს, ზოგი რკინიგზაზე, ხალხი დაქსაქსეს. მერე, ამ ლიდერებზე რასაც ამბობდნენ, ნამდვილად არ მინდა დავიჯერო: ისინი სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოსყიდულები იყვნენო. მჯერა, რომ მაშინ ხალხი დიდ ხიფათს აარიდეს იმიტომ, რომ სააკაშვილის რეჟიმი ყველაფერზე იყო წამსვლელი, მათ შორის, სისხლისღვრაზე. დიახ, იპოდრომიდან დაძრული ასიათასობით ადამიანი პოლიტიკურმა ლიდერებმა დაშალეს, სხვადასხვა მიმართულებით დაფანტეს. მთელი საქართველო საუბრობდა, რომ ეს ადამიანები გაიყიდნენ. ხალხს ვეუბნებოდით: ვისაც არ შეგიძლიათ ნუ გაჩერდებით, ჩვენ ლიდერები დავრჩებით-თქო.



გმირი ხალხი რეჟიმის, შიშის მიუხედავად, მაინც დარჩა. აი, სწორედ ამ ათასობით ადამიანის ღალატი იყო ბურჯანაძის „ნაცებთან“ მისკუპება. მეტი როგორ გითხრათ?! ეს ამაზრზენი საქციელია მიუხედავად იმისა, რომ რაც გამოვიარეთ იმას ვაფასებ და იმ წარსულში ეს ადამიანი ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო. მაგრამ მისი დღევანდელი ქმედება იმ წარსულის ღალატს ნიშნავს, რა დროსაც ბევრი ადამიანი დაიღუპა, დასახიჩრდა, ოცნებები დაენგრა. ასევე, ამაზრზენია გუბაზ სანიკიძის, თავისივე ნებით, საკუთარი თავის ტალახში ამოსვრა. მან ტალახში ამოსვარა თავისი პოლიტიკური, პირადული, ადამიანური ღირსებები, რასაც დღემდე აკეთებს. ადამიანი რომელიც „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და ეროვნულობის ნიშა ეკავა, თანაც, ასეთი ოჯახის წარმომადგენელია, ამ ფონზე, მისი საქციელი ათასჯერ უფრო სირცხვილია. ამ ჩარჩოს არ გავცდები, თორემ უარეს შეფასებასაც იმსახურებს. იმედია, მექნება იმის ბედნიერება, რომ პირადად ვუთხრა: მისი ყოველი ქმედება ამაზრზენია. იგი დღევანდელი დროის სანიკიძე კი არა, ბერბიჭაშვილია. სხვაგვარად ვერც მოვიხსენიებ. იგი ბერბიჭაშვილის სისხლის ადამიანია, რომელსაც სირცხვილი და ღირსების ნატამალი არ შემორჩა. მე, ბიძინა ივანიშვილის თანამებრძოლობით ვამაყობ იმიტომ, რომ თავისუფალი ადამიანი ვარ. იგი როგორც კი თავის რესურს ამოწურავს, ჩვენ, მასთან ერთად, ჩვენს გამოცდილებას და ცოდნას მომავალ თაობას გადავაბარებთ და ქვეყანას მათ მივანდობთ. მანამდე გავზრდით თაობას რომლისთვისაც ამ პასუხისმგებლობის, ტვირთის გადაცემა ბედნიერება იქნება. ცხოვრება ესტაფეტაა — რაღაც დონემდე იხარჯები და მერე, ვისიც გჯერა იმას გადასცემ ესტაფეტას. ეს ვერ გაუგიათ სანიკიძეს და სხვებს. მარაზმია ნათელაშვილის პოლიტიკაში ყოფნაც. ასჯერ იცვლიან ფერს. შეიძლება ერთხელ გადახედო განვლილ ცხოვრებას, არ მოგეწონოს და რაღაც შეცვალო, მაგრამ ყოველ კვირას რაღაცების ცვლილება, ეს არ არის სამშობლოს ერთგულება, არამედ პირადი ცხოვრების მოწყობის მცდელობაა. ახლა მოდაში შემოვიდა: პოლიტიკაში ჯერ მამა ერთვება, მერე შვილი, შთამომავლობით გადაეცემათ თანამდებობები. ჩარჩოს არ უნდა გავცდეთ. მათი ხშირი, ამაზრზენი სახეცვლილებები იმის შედეგია, რომ საკუთარ თავზე ზრუნავენ. ისტორია მათ თავისას მიუზღავს.

**— მათზე ეს გამონათქვამი ზედგამოჭრილი: პოლიტიკა ბინძური საქმეაო.**

— პოლიტიკა, ადამიანი, ოჯახი მანამდე იქნება ბინძური, სანამ იგი ამ სიბინძურისგან თავად არ გათავისუფლდება. ამისთვის მრავალი გზა არსებობს, მათ შორის, მონანიება. სინანულში მყოფი შეცდომადანახული ადამიანი ქვეყნისთვის უფრო მეტი სიკეთის მომტანია. მაგრამ როცა ერთ ცოდვას მოინანიებ და მერე ათს ჩაიდენ, ასე არაფერი გამოვა. შეცდომა ხელმეორედ აღარ უნდა დაუშვა. ქართველი ერი დიდი პოტენციალის ერია, ამიტომაც გადარჩა და ასეთ ადამიანებს ადრე თუ გვიან თავის ადგილს მიუჩენს. იმედი მაქვს, ძლიერი საზოგადოება ჩამოყალიბდება, რომელიც პოლიტიკოსებს ასეთ გადაწყვეტილებებს არ აპატიებს. ყველას შეუძლია მშვიდად იცხოვროს, მაგრამ არა ქვეყნის დაზარალების ხარჯზე. მე, იმ პოლიტიკის გამტარებელი ვარ, რაც ბევრი ღირსეული ადამიანისთვის მისაღებია. დიახ, დალოცვილის გუნდის წევრი ვარ და ამით ვამაყობ. „ქართული ოცნება“ ასიათასობით ადამიანს აერთიანებს — ზოგს პოლიტიკურად, ზოგს იდეურად, ზოგს მრწამსით. ამ ასიათასობით ადამიანიდან ყველა ერთ აზრზე ვერ იქნება, მაგრამ ჩვენს აზრებს ერთმანეთთან ვაჯერებთ, გვჯერა ჩვენი ლიდერის — დალოცვილის და პასუხისმგებლობას ყველა თანაბრად გადავინაწილებთ.

**— დასავლეთში გამადიდებელი შუშით აკვირდებიან პოლიტიკოსების პირად ცხოვრებას. აქ ასე არ არის — ვიღაც მილიონებს იპარავს და ვითომც არაფერი, ან ცხრაჯერ შეიცვლის ორიენტაციას და თითქოს, ესეც**

6 გვ.

# ნაცმოძრაობა – მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

## ნაცებს მხოლოდ სამარე გაასწორებს და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ისე მყარად ჩავტენოთ პოლიტიკურ საფლავში, მათი რეანიმაცია ვერასდროს, ვერცერთმა მაგიურმა ძალამ ველარ გაბედოს!

## არა ნაცმოძრაობას! არა მკვლელების პარტიას!

დიქტატურის და ფაშიზმის რეალიზაციის დიდოსტატმა „მიხეილ უკანასკნელმა“ ნაცლიდერებთან ერთად შექმნა შიდა და საგარეო მტრის შემაშინებელი სახე, ააშენა გულაგის მსგავსი ციხეები აუტანელი პირობებით. ხალხის დასატერორებლად შექმნა მოიერიშე ბრიგადები. მარწუხებში მოაქცია საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ბიზნესი. კანონის გვერდის ავლით, უთვალთვალებდნენ მოქალაქეებს, აწყობდნენ თვითნებურ დაჭერებს. წნეხში ატარებდნენ ინტელიგენციას და მოაზროვნე ადამიანებს. მკაცრად აკონტროლებდნენ მედია საშუალებებს, განსაკუთრებით – ტელევიზიას. „არა ნაცური“ აზროვნება აქციეს სამშობლოს ღალატის სინონიმად. მთელ ძალაუფლებას საკუთარ ხელში მოუყარეს თავი. ნაცხროვას „დამხეცებული“აქვს საჭირო დროს მარტივ მამრავლებად დაყოფა და საჭირო მომენტში შედუღაბება. მათგან მართული, მსუყედ დაფინანსებული მედია გააფთრებული ცდილობს მათი სისხლიანი, კრიმინალური წარსული მოსახლეობას დაავიწყოს და „ოცნებაზე“შეთხზული ზღაპრებით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს... ვარდების რევოლუციის შემდეგ, პირველ წლებში, დაიწყო კრიმინალური სტრუქტურების წინააღმდეგ გააფრთებული ბრძოლა და მასშტაბური ოპერაციები, შედეგად ბევრი კრიმინალური ავტორიტეტი მართლაც დაიჭირეს, ზოგი გაანადგურეს, ძალიან ბევრი – ქვეყნიდან გადაიხვეწა. მათი ქონებების პროპაგანდისტული ჩამორთმევები მოსახლეობაში სამართლიანობის და პოლიციის შეურყვნელობის იმიჯის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად და იმუშავა კიდეც – ხალხმა გადაწყვიტა, რომ ქურდების ერა მთავრდებოდა. მაგრამ 2006–07 წლებიდან აშკარა ხდება ლამის 180-გრადუსიანი შემობრუნება – ე.წ. „ქურდების“ შერჩევითად განთავისუფლება და დაახლოება „პროცესების სამართავად“, რისი მაგალითებიც „იმედის“ ტელერეპორტაჟებმა შემოგვინახა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიხეილს რევოლუციამდე ტკბილი და მურაბა ურთიერთობა ჰქონდა კრიმინალურ ავტორიტეტებთან და არც მათ უხვ „შემოწირულობაზე“ ამბობდა უარს. ტარიელ ონიანს აეროპორტში ხვდებოდა და ძუკნა ძაღლივითაც დასდევდა. ანუ, ერთადერთი ძალა, ვინც ხმალამოღებული ებრძოდა ქურდულ სამყაროს ნაცმოძრაობა არ ყოფილა. „შავებზე“ მოუბარი ნაცტელევიზია იქნებ დაინტერესდეს და ტარიელ ონიანს ჰკითხოს, მიშასთან რა აკავშირებს! და ისიც გამოიძიოს, ქურდული სამყაროს რამდენი წარმომადგენელი გამოუშვეს ციხეებიდან სასწრაფო წესით 5 იანვრის და 21 მაისის არჩევნების წინ, რომ მათ საარჩევნო უბნებზე „სიტუაცია ემართათ“ და ოპოზიციის ამომრჩევლები სამაგალითოდ დაეშინებინათ. ნაცმოძრაობას ქურდული სამყარო იმიტომ არ მოწონდათ, რომ მისი „პალაჟენია“ უნდოდათ სათავისოდ და მოახერხეს კიდეც და ყველაზე დიდი ქურდები სწორედ მათ ჰყავდათ მთავრობაში. უკრაინაში არჩევნებთან დაკავშირებით გივია თარგამაძე სწორედ ქურდებს და კრიმინალებს „ეჩალიჩებოდა“ დასახმარებლად... ციხეებში პოლიტიკური ოპონენტების კონცენტრირების ფონზე ნაციონალური მოძრაობის მესვეურებმა 2007 წლის ბოლოს ადამიანის უფლებების კომიტეტის და შეწყალების კომისიის წევრის ელენე თევდორაძისაგან იდუმალად მოახდინეს ათობით საშიში კრიმინალის ვადამდე ადრე, ხოლო ზოგის – დაჭერიდან სულაც რამდენიმე თვეში –განთავისუფლება მარტივი მიზნით – ამ „ავტორიტეტებს“ უნდა უზრუნველეყოთ პრეზიდენტობის კანდიდატ სააკაშვილის „პოპულარიზაცია“ საარჩევნო უბნებში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კრიმინალებთან „მებრძოლმა“ ნაცელიტამ მოახდინა მკვლელი ძმები რურუების რეანიმაცია და თავის ზონდერ ბრიგადასთან ერთად სასათბურე პირობებში აუხდინა ძველი ოცნებები...ნაცების მიერ კრიმინალების მობილიზაცია უფრო მასშტაბურად ხდებოდა საპარლამენტო არჩევნების წინ. მეტიც, ზოგან საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებად თარხნიშვილის მიერ ხელდასმულნი გახლდნენ კრიმინალები და ნარკომანები, რომელთაც უნდა „გაეპრავებინათ“ ნაცების შეუცვლელობა. ნაციონალურმა მოძრაობამ თავის მრავალტანჯულ საარჩევნო სიაში წარმოადგინა ვინმე ისაკო ცქიფურიშვილი, კახეთში ლოკალური მასშტაბის მაფიოზი, სამი ადამიანის მკვლელობისთვის გასამართლებული, რომელიც ძირითადად იმით იყო დაკავებული, რომ ადგილობრივ რადიო „ჰერეთს“ და ჩასულ დამკვირვებლებს კამერებს უმტვრევდა, აგინებდა და ლიკვიდაციით ემუქრებოდა. დიახ, ნაცლიდერებმა მოახერხეს და მოკლე ხანში, ვითომ პოლიციური სახელმწიფო „ჩამოასხეს“, რომელიც სინამდვილეში ზე კრიმინალური სახელმწიფო გახლდათ და მისი ანტიკრიმინალურობა ისეთივე სიყალბე, იყო როგორც ნაციონალების „დემოკრატობა“. სახალხო დამცველის ანგარიშში 2007 წლის მეორე ნახევარში მრავლად იყო მითითებული პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმის თაობაზე. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში არც ერთი თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით არ გამოკვეთილა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. 2007 წლის ოქტომბრის თვეში პარლამენტის მაშინდელი წევრების ბეჟან გუნავაზე და ბიძინა გუჯაბიძეზე განხორციელებული თავდამსხმელები იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები გიორგი სამუშია, გოგა ღურწკაია, მანუჩარ ფუტკარაძე, გიორგი მანია ირაკლი მიქაია, ბიქტორ მიქაია და აკაკი როგავა. სამართლებრივი თვალსაზრისით, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული პირები იხსნა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მათი ქმედების უფრო მსუბუქი ადმინისტრაციულ სამართლებრივი კვალიფიკაციით. დღეს, როცა სამხრეთ კავკასიაში უკიდურესად დაძაბული სიტუაციაა, ყველაზე არაპროგნოზირებადი შედეგებით, სწორედ ეს ნაცბოლშევიკური იდეებით ნაკვები ხლისტები ცდილობენ ქაოსის შემოტანას და სწორედ ამ მიზნით მოხდა სამი დღის წინ, „ნაციონალური მოძრაობის“ ოცდაათ კაციანი დაჯგუფების თავდასხმა „ქართული ოცნების“ ბოლნისის საოლქო ორგანიზაციის აქტივისტებზე. დიახ, დამარცხებული, დაყოფილ-შეერთებული, მრისხანებით შეპყრობილი, ქრისტეს ფეხის მკვნეტელი, ნაცხლისტები დღემდე საბოტაჟის და რევანშის რეჟიმში გვაცხოვრებენ თითქოს, დაგვავიწყდა მათი ზეობის ხანაში ბიზნესის დატერორება, ქვეყნის სტრატეგიული სიმდიდრეების გაყიდვა, ნულოვანი ტოლერანტობა, დაჭერები, დახვრეტები, ნარკოტიკების ჩადებები, მოსყიდვები, ვაი-არჩევნები, განათლების „რეფორმა“, სამედიცინო „რეფორმა“, ეკლესიის დანგრევის მცდელობა...

ნაცლიდერების თითოეული გამოსვლა, ჟესტი, სიტყვა, თუ ღონისძიება მიმართულია ერთი კონკრეტული მიზნისაკენ – რომ მსოფლიოში შექმნან საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ნეგატიური სახე. ნაცლიდერები რომელთა რეჟიმის პირობებში მასიურად ირღვეოდა ადამიანის უფლებები, ურცხვად ლაპარაკობენ გაცილებით ნაკლები სიმძიმის და სიხშირის დარღვევებზე დღევანდელ საქართველოში. მათ არ ეპრობლემებათ ილაპარაკონ საქართველოს ციხეებში ადამიანის უფლებების დარღვევებზე. მაშინ როცა სააკაშვილის დროს ყოველწლიურად ციხეებში მრავალი პატიმრის გარდაცვალება, მათ შორის მრავალი ისეთი, რომელთა ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები სახეზე იყო,უამრავი პატიმარი იღუპებოდა, რომ არაფერი ვთქვათ პატიმართა სადისტური წამების და გაუპატიურების დადასტურებულ ფაქტებზე ნაცმოძრაობის მმართველობის დროს. მათ თუ დაავიწყდათ ჩვენ გვახსოვს, რომ უმძიმეს პატიმრებს რეანიმაციაში ფეხზე „კანდალებს“ ადებდნენ და ჯანმრთელ პატიმრებს ხელოვნურად აავადებდნენ რეზისტენტული ტუბერკულიოზის უმძიმესი ფორმებით რათა მეტი დაფინანსება შემოსვლოდათ თავისნაირი გარეწარი „პატრონებისგან“. გაუგონარი და წარმოუდგენელი წნეხის ქვეშ ყავდათ როგორც მსჯავრდებულები ასევე მათი ოჯახის წევრები და ახლობლები... მიხეილ სააკაშვილი, რომლის ხელისუფლება უამრავ ბიზნესმენს აშინებდა და ციხეში სვამდა, ფაქტიურად ატყავებდა და ბიუჯეტში საკუთარი ქონების დათმობას, ან მუქარის ქვეშ ინვესტირებას აიძულებდა, და რომელმაც 2012 წლის ბოლოს 2013 წლის მოგების გადასახადი – დაახლოებით 1 მილიარდი ლარი წინასწარ საკუთარი ხელისუფლებისათვის გადაახდევინა მეწარმეებს (რითაც იმავე ერთი მილიარდით „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისათვის 2013 წლის საბიუჯეტო შემოსავლები შეამცირა!), დღეს უტიფრად ლაპარაკობს იმაზე, რომ ინვესტირების და ეკონომიკური ზრდის ტემპები და სტატისტიკური მაჩვენებლები, თურმე, გაუარესდა!.. დღეს საქართველოს არ ჰყავს იმაზე დიდი ცილისმწამებელი, ვიდრე მიხეილ სააკაშვილია თავის „მოურავებთან“ და „დამარცხებული ხალხის ტელევიზიასთან“ ერთად. საქართველოს ხელისუფლება სამწუხაროდ იძულებულია, სწორედ ამ ადამიანების არამსგავსებთან კოჰაბიტაციის რეჟიმის ერთგული დარჩეს. აბსოლუტურად მარაზმატული ჩანს დასავლეთის მხრიდან უკვე თითქმის გამჭვირვალედ გამოჩენილი სურვილი, რომ მიხეილ სააკაშვილი მისი ბანდის წევრებთან ერთად მართლმსაჯულების წინაშე არ წარდგეს. ევროპის სახალხო პარტია და სააკაშვილის პირადი მეგობრები თუ წარსულში დაქირავებული კონსულტანტები ურცხვად ითხოვენ, რომ შეწყდეს ნაცმოძრაობის პოლიტიკოსების „დევნა“, და ლამის მზად იყვნენ საქართველოში მართლმსაჯულების აღსრულებაზე საერთოდ მორატორიუმი მოეთხოვათ. (მათ შორის კრიმინალი მკვლელი ჟორიკა რურუას გათავისუფლების, იმპერატიული მოთხოვნა) ამას დავამატოთ სასამართლოების დამოუკიდებლობის შენარჩუნების იმპერატიული სურვილი და ის გზა, რომლითაც ხელისუფლება წავიდა, როდესაც თავისი ნებით უარი თქვა აბსოლუტურად უსამართლო სასამართლო ვერტიკალის მსხვრევაზე. ამის გამო, ქვეყნის უზენაეს სასამართლოს და იუსტიციის საბჭოს დღესაც თითქმის იგივე ადამიანები მართავენ, ვინც ნაცმოძრაობის დროს რეჟიმის მიერ მოქალაქეებზე ძალადობის „გაპრავების“ და სამართლის დასაფლავების შემოქმედებად გვევლინებოდნენ. ხელისუფლების მიერ მოსახლეობისათვის მიცემულ უპირველეს პირობას სწორედ სამართლის აღდგენა შეადგენდა. ახლა კი გამოდის, რომ











6 გვ.

# ბიძინა ივანიშვილი ღვთისგან დალოცვილი ერისკაცია

4 გვ.

**არაფერია. პრობლემა ის ხომ არ არის, რომ საზოგადოება არ თხოვს მათ ამაზე პასუხს?**

— არა, საზოგადოება ითხოვს პასუხს, მაგრამ იგი ჯერ ისეთი ძლიერი არ არის, როგორიც წესით უნდა იყოს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ივანიშვილი როცა პოლიტიკიდან წავიდა, იგი აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერებაში. მისი მიზანი იყო, თავად, საზოგადოებრივი მოძრაობა გაძლიერებულიყო. ეს მეტ-ნაკლებად მოხერხდა, მაგრამ ჯერ სასურველ დონემდე არ მიუღწევია. ანუ, პოლიტიკაში ვითარება დაიძაბა. ბატონ ბიძინას სურდა ნაკლებად ყოფილიყო პოლიტიკურ ველზე, თუმცა იძულებული გახდა დაბრუნებულიყო, რადგან პროცესები უმართავი იყო, პოლიტიკური მოვლენების მართვა ხელიდან გვისხლტებოდა. „ქართული ოცნების" შიგნით ბზარი გაჩნდა და აუცილებელი გახდა სათავეში კვლავ ბიძინა ივანიშვილი ყოფილიყო. ამიტომ, მისი დაბრუნება გარდაუვალი იყო. ამასთანავე, მის ბევრ ქმედებაში ვხედავთ, რომ იგი ძირითად აქცენტებს აკეთებს განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, სოფლის მეურნეობაზე და ა.შ. ეს ერთი მთლიანი ჯაჭვია. ერი განათლებული უნდა იყოს. ქუთაისის უნივერსიტეტის პროექტი, რომელიც ახლა ხორციელდება მრავალ ათასობით ახალგაზრდას უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას მისცემს. ეს სწორედ საზოგადოებაზე და ერის განათლებაზე ზრუნვაა. ასეთი მასშტაბის განათლების კერა, საქართველოში, მეორე არ იქნება. ანუ, ქუთაისი იქნება სტუდენტური უმაღლესი განათლების კერა თავისი ულამაზესი ინფრასტრუქტურით და იმ ადამიანური რესურსითაც, რაშიც ევროპის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები იქნებიან ჩართულნი. ვიმეორებ, ეს საზოგადოებაზე ძალიან დიდი ზრუნვის მაგალითია. ასევე, გადაიდგა ნაბიჯები ჯანმრთელობის კუთხით. განხორციელდაც ჰეპატიტის პრევენციის პროექტი, ასევე, სიმსივნით დაავადებულთა პროფილაქტიკაზე ზრუნვა. ეს გახლავთ ერის სიჯანსაღეზე ზრუნვა. ადამიანი ერზე ასე რომ ზრუნავს, როგორ შეიძლება მისი არ გვჯეროდეს. იგი ერის რჩეული ადამიანია. ამ მასშტაბის ადამიანს, საქართველოში, მეორეს ვერ დამისახელებთ. ამიტომ მჯერა მისი, ამიტომ ვუწოდებ მას სავსებით სამართლიანად და დამსახურებულად ერის კაცს. იგი არის წინამძღოლი, ლიდერი, მასშტაბური პროექტების განმახორციელებელი. მაქვს პრეტენზია თამამად ვთქვა: ულალატო მებრძოლი ვარ. ივანიშვილმა თავის საქმით დაამტკიცა, რომ მისი უნდა გვჯეროდეს.



**— რამდენად მისაღებია „ნაცები" ხელისუფლებაში დაბრუნებას რომ ითხოვენ, ეს ნორმალურია?**

— რა თქმა უნდა, ეს ნორმალური არ არის, მაგრამ რეალობა, მოცემულობა ასეთი გვაქვს. მახსოვს, სააკაშვილი ალმაშენებელს ედრებოდა, ახლა, გიორგი ვაშაძემ, საერთოდ, თავის მოძრაობას უწოდა „სტრატეგია ალმაშენებელი" და ამ პროექტით უნდა გამარჯვება. დღეს „ქართულმა ოცნებამ" ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ისეთი პოლიტიკური ველი, გარემო შექმნა, რომ არსებობის უფლება ყველას აქვს. მაგრამ, ამასთანავე, თუ რას წარმოადგენენ ისინი საზოგადოების თვალში, ეს ცალკე საკითხია. საზოგადოება მათ გამონათქვამებზე, მოძრაობებზე უკვე ხალისობს. რაღაც ნაწილს, ალბათ, მათი სჯერა კიდეც, მაგრამ უმრავლესობისთვის ეს არის შოუ, რომელსაც ტელე-ეკრანებიდან ყოველდღიურად ხედავენ. დრო იყო, როცა ამ ადამიანებზე, მათ იდეებზე, გამოხტომებზე აღშფოთებული ვლაპარაკობდით, მაგრამ დღეს ეს, უკვე, სახალისოა იმიტომ, რომ გიჟი რომ გაგიჟდება, მას აღარაფერი შველის. მათი დრო დასრულდა, ვეღარაფერს გახდებიან. ახლახან, ამერიკის ელჩის განცხადება მოვისმინე: თითქოს მმართველი ძალა ხალხზე ძალადობს და მათ დაშინებას ახორციელებს. რა თქმა უნდა, ამერიკა ჩვენი მეგობარი ქვეყანა, სტრატეგიული პარტნიორია. კარგი იქნებოდა ის ინფორმაცია რასაც მას ოპოზიცია აწვდის, გადაემოწმებინათ და დარწმუნდებიან, რომ ამ ინფორმაციების 99% მოგონილია. ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულება საქმისადმი ასეთია: იგი, თავის ოჯახის წევრს, ახლობელსაც არ დაინდობს თუ მას, ამა თუ იმ საკითხზე, რაღაც გადაცდომა მოუვა. მისი მრწამსი, ცხოვრებისეული კრედოა, რომ ყველანაირად გვერდში დაგიდგეს, გენდოს, დაგეხმაროს, მაგრამ თუ ღალატის შესახებ შეიტყო, არ გაპატიებს. დიახ, ღალატს, იგი, არავის პატიობს, მის სისხლსა და ხორცსაც კი. ეს მთელმა ქვეყანამ ძალიან კარგად იცის. ამიტომ ვამბობ: ბიძინა ივანიშვილის თანამებრძოლად ყოფნის თამასა ძალიან მაღალია და ეს ერთგვარი ტვირთია, რაც ყველამ კარგად უნდა გაითავისოს იქნება ეს პრემიერი, მინისტრი, გამგებელი თუ სხვა.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24





# ნაცმოძრაობა - მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

6 გვ.

ამ პირობის შესრულების გარანტი იგივე პირებით დაკომპლექტებული სასამართლოა, რომელიც აქამდე, ნაცმოძების მონური ერთგულების გარდა, არაფრით გამოირჩეოდა. არც პოლიციის და პროკურატურის კადრებია მათ გარეშე წარმოდგენილი, ვინც საზოგადოების მიმართ რეპრესიული მანქანის აქტიური წევრი თუ არა, კარგად გაზეთილი ჭანჭიკი მაინც იყო. იყო შემთხვევები როცა ნაციონალური ეპოქის მსხვერპლი პირები საკუთარი უფლებების აღსადგენად საჩივარს სწორედ იმავე ადამიანებს აბარებდნენ, გაოგნებულნი, ვისაც ამ საჩივრებში უჩიოდნენ... რაც შეეხება ნაცების შეუცვლელ ლოზუნგს – „რუსეთი ოკუპანტია!" და ოპონენტების „რუსეთუმეებად" მონათვლას სინამდვილეში, სწორედ ნაცლიდერები რუსებთან ერთად კუდებგადაფსვნილები მუშაობენ საქართველოს დასაჩოქებლად. ერთმანეთისგან მტრის ხატს ქმნიან, რომ არსებობა გაიხანგრძლივონ და მეტი დაფინანსება გაინაღდონ ნებისმიერ მხრიდან. პუტინის ივანოვმა არ მოგვიყვანა მიშა? 2008 წლის გაყალბებული არჩევნები პირველმა პუტინის ლავროვმა არ მიულოცა სააკაშვილს? პუტინის კარის ბიზნესმენი ბენდუქიძე არ დანიშნა მიშამ საქართველოს გამყიდველად? პუტინის მოქალაქე არ იყო მიშას საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშაძე? პუტინის ახლობელმა კგბ-ს გენერალმა გენერალოვმა – სააკაშვილის ბიძის თემურ ალასანიას ძმაკაცმა არ ჩაიგდო ხელში საქართველოს ერთერთი ყველაზე სერიოზულ საწარმო – ოქროს გადამმუშავებელი „მადნეული"? პუტინის გაზპრომმა და რაო-ესმა არ ჩაიგდეს ხელში მთელი საქართველოს სიმდიდრეები – „თბილისის წყლიდან" და რუსთავის მეტალურგიულიდან დაწყებული და ენგურჰესით დამთავრებული? პუტინის ჯარისკაცები და ოფიცრები არ იყვნენ მიშას დადგმულ სპექტაკლში – „ძლევამოსილმა მიშამ უიარაღოდ უკუაგდო რუსთა ლაშქარი განმუხურში" – სტატისტებად რომ იქირავა მიხეილმა? პუტინის დაგებულ ხაფანგში არ შეჯირითდა მიშა? თან წინასწარ რომ იძახოდა წლობით – ვიცი, ხაფანგს გვიგებენო!? პუტინის ოცნებები არ შეასრულა ამ თავისი შეჯირითებით? ნაცელიტის მოწინააღმდეგეები პუტინის აგენტები ყოფილან და ნაცხლისტებს რომელთა ბიზნესი რუსეთში ჰყავის პატრიოტებად მოაქვთ უტვინო თავი... ხალხის დასაშინებლად და „წესრიგის" დასამყარებლად რამდენი ახალგაზრდა დახვრიტეს და უნამუსოდ კრიმინალის ან მოღალატის იარლიყი „მიარტყეს". მაგალითები სამწუხაროდ უამრავია, მაგრამ ნაწამები როინ შავაძეს და დახვრეტილ გია კრიალაშვილს მოღალატეობას,



რომ დააბრალებ ბუტა რობაქიძეს, ვაზაგაშვილს და უამრავ უდანაშაულო ახალგაზრდას კრიმინალური დაჯგუფების წევრობას, როგორ ცხოვრობ, შვილებს თვალებში როგორ უყურებ, ერს და ბერს რა ნამუსით მიმართავ და უტიფრად როგორ ცდილობ ხელისუფლებაში დაბრუნებას... არა, ნაცებს მხოლოდ სამარე გაასწორებთ და ყველაფერი უნდა ვიღონოთ და ისე მყარად ჩავტენოთ პოლიტიკურ სამარეში მათი რეანიმაცია ვერასდროს ვერცერთმა მაგიურმა ძალამ ვეღარ გაბედოს!

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30





# ეროვნული ვალუტა სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა და მისი მიზანმიმართული დისკრედიტაცია კანონით უნდა ისჯებოდეს

*გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი სოსო არჩვაძე*

**— ბატონო სოსო, რა გავლენები იქონია კორონა ვირუსმა ეკონომიკაზე?**

— გაზაფხულზე კორონა ვირუსთან დაკავშირებული კარანტინის პერიოდში, ინფორმაციების განზოგადების საფუძველზე, ფიქრისა და განსჯის შესაბამისად, შევეცადე რამდენიმე ჯგუფად დამეყო პრობლემა, რომელიც ვირუსს უკავშირდებოდა და გამოვყავი რამდენიმე ძირითადი ასპექტი.

პირველი — სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც მიანიშნებდა, რომ მანამდე არსებული ნეოლიბერალური შეხედულებების ნგრევის ფაზაში აღმოვჩნდით.

სინამდვილეში, პანდემიამ დაადასტურა, რომ ბაზრის სერიოზული ნაკლოვანებები თვალშისაცემი იყო.



განსაკუთრებით სამედიცინო სფეროში, სადაც ჯანდაცვა, როგორც საბაზრო პროდუქტი, მთლიანად ჩავარდა და ეს მოხდა არა სხვა საქართველოსნაირ ქვეყანაში, არამედ იტალიაში, საფრანგეთში, აშშ-ში და ა.შ. სადაც ფულის დიდი რაოდენობა იხარჯებოდა ჯანდაცვაზე, მაგრამ, როცა გლობალური პრობლემა შეიქმნა, პროფილაქტიკა, პრევენცია, დაცვა — ეს ზომები ვერ იქნა მიღებული და შედეგი არ დადგა ეფექტური.

ასეთ პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა სახელმწიფოს როლი და სწორედ სახელმწიფომ იკისრა დირიჟორის ფუნქცია რომ საზოგადოების კოლაფსური განწყობა და ფაქტობრივი მდგომარეობა გამოეყვანა რეალური კრიზისიდან.

**— ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ნეოლიბერალური მიდგომები, თუნდაც, კერძოდ, ეკონომიკაში, მცდარი იყო და მოსაზრება, რომ ბაზარი თვითონ დაარეგულირებდა ეკონომიკას ქვეყანაში იყო და არის ბლეფი.**

— ეს ილუზორული მოლოდინები უკვე გაქრა საზოგადოებაში და ნელ-ნელა ძლიერდება სახელმწიფოს როლი.

ახლახან ახალი ნაშრომი გამოვაქვეყნე სათაურით „კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები“. იქ სწორედ ამ საკითხებს ეხება ერთი თავი.

კორონა ვირუსმა სერიოზული პრობლემები შექმნა დასაქმების და უმუშევრობის სფეროში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც გაეროს სოლიდური ნაწილია, ოთხჯერ გამოაქვეყნა თავისი პროგნოზები იმაზე, ამ პირობებში თუ რამდენად გაიზრდებოდა უმუშევრობა მსოფლიოში.

ეს ციფრები 254 მილიონიდან 175 მილიონამდე ავიდა, ბოლო ციფრი 450 მილიონი იყო მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

აშშ-ში, დღევანდელი (25 სექტემბერი — ი.კ.) ინფორმაციით, პოლიტიკოსები უკვე იკვეხნიან, გავანახევრეთ უმუშევრობის დონე აპრილთან შედარებით და 20 მილიონით მეტი უმუშევარი გვყავსო.

სიტუაცია ისე ვითარდება, რომ, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც, დასაქმების მასშტაბები, სავარაუდოდ, შემცირდება და მის ხარჯზე გაიზრდება კონკურენცია. შრომის ბაზარი გაჯერდება უფრო კვალიფიციური და მცოდნე კადრებით, რომლებსაც მეტი განვითარების პერსპექტივა აქვთ.

აქვე დავამატებ: ეს არ ნიშნავს, რომ შრომის ბაზრის მოცულობის შემცირების პირობებში, პროპორციულად, ყველა სპეციალობის მიხედვით, მოხდება შემცირება.

მაგალითად, თბილისის ქუჩებში მრავლად ვხედავთ „გლოვოს“ მოტოციკლეტისტებს — როგორი სიხშირით დადიან, რაც ნიშნავს, რომ გაიზარდა მომსახურების სერვისზე მოთხოვნა, კვებით სერვისებთან ერთად, ფარმაციაში, მაგალითად, სამედიცინო სფეროში მომსახურეებზე, კომპიუტერული ტექნიკისა და გამოყენების სფეროს თანამშრომლებზე, მაგრამ, მთლიანობაში, აბსოლუტური რიცხვი რომ ავიღოთ, დიდია კლების ტენდენცია. აქედან გამომდინარე, ბაზარზე ადგილს დაიმკვიდრებენ შედარებით მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები. ამიტომაც მეტი უნდა ვიმუშაოთ საკუთარ თავზე, რომ შრომის ბაზარზე კონკურენციას გავუძლოთ.

**— აქ ორი ფაქტორი მუშაობს. ბატონო სოსო, ერთია თვითრეალიზაციის აუცილებელი მოთხოვნილება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, მაგრამ მეორეა, ასე რომ ვთქვათ, ცარიელი მუცელი. ლარმა მსყიდველობითუნარიანობა დაკარგა. ადამიანების იმ ფულს, რასაც გამოიმუშავებენ, მთელი თვე საკვებისთვის არ ჰყოფნით — ფასები დიდია, ჩვენი ლარი კი სუსტი დოლართან მიმართებაში. მიზეზებზე მინდა, რომ გვესაუბროთ.**

— ზოგადი კანონზომიერებაა — როცა ეკონომიკა ეცემა, პრობლემა ექმნება ყველა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს. ეს არის მთლიანი შიდა პროდუქტის ვარდნა, უმუშევრობის ზრდა, ინფლაცია და სავალუტო კურსი.

იკითხავთ: რატომ არის სავალუტო კურსი ჩვენთვის ასეთი მტკივნეული?

მთავარი ისაა, რომ ჩვენი შიდა ბაზარი, დიდწილად, დამოკიდებულია იმპორტზე.

მაგალითად, აშშ-ის ეკონომიკა მხოლოდ 14%-ით არის ექსპორტზე დამოკიდებული.

**— ამერიკა სოფლის მეურნეობაშიც ასე ძლიერია?**

— ამერიკა გახლავთ მსოფლიოში პირველ ადგილზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტით, მეორე ადგილზეა — ნიდერლანდები. ნიდერლანდებმა ტერიტორიის, დაახლოებით, 40% ზღვას „წაართვა“. ამის მიუხედავად, სოფლის მეურნეობა იქ აღორძინებულია და ნიდერლანდები მსოფლიოში მეორე ადგილზე გახლავთ ბოსტნეულის და ხილის ექსპორტით.

**— დავუბრუნდეთ ლარს.**

— ნებისმიერი ცვლილებები სავალუტო კურსზე სამჯერ, ოთხჯერ და მეტჯერ მტკივნეულად აისახება ეროვნულ ვალუტაზე და შიდა სამომხმარებლო ფასებზე საქართველოში, ეს დიდწილად პანდემიის შედეგია.

**— ბატონო სოსო, ლარის კურსის ვარდნას, ძირითადად, ვირუსს უკავშირებთ, მაგრამ ვირუსი თებერვლის ბოლოდან გავრცელდა და სექტემბრის ბოლოს რატომ იმოქმედა ლარზე?**

— ობიექტური შენიშვნაა და გიპასუხებთ, რომ ვალუტის კურსზე გავლენას ახდენს რიგი ობიექტური ფაქტორები. კერძოდ, ეკონომიკის ზომა, ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა, ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და ა.შ.



პანდემიის პირობებში ეკონომიკა შემცირდა, მაგრამ ამ შემცირებასთან ერთად შემცირდა იმპორტის მოცულობა. პროცენტულად რომ ავიღოთ: იმპორტის თანაფარდობა ეკონომიკასთან კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა, რაც ნიშნავს, რომ პირდაპირი გავლენა არ უნდა ჰქონოდა ჩვენს ვალუტაზე.

ამ ხანებში ეკონომიკა შემცირდა, დაახლოებით, 12%, ექსპორტი — 2,07%-ით.

მარტივი არითმეტიკა გვეუბნება: დარჩენილ ეკონომიკას რომ შევუფარდოთ ფაქტობრივი ექსპორტი, კი არ შემცირებულა ეს თანაფარდობა, არამედ — გაზრდილა.

აქაც, როგორც ხედავთ, არსად არის შავი კატა, რომელსაც ვიღაცები ეძებენ ბნელ ოთახში.

რაც ეხება ფულად გზავნილებს, ეს გზავნილები ბოლო თვეებში საგრძნობლად გაიზარდა, დაახლოებით, 25%-ით, რასაც, წესით, უნდა ემუშავა ეროვნული ვალუტის გამყარებაზე.

შეგვიმცირდა შემოსავლები უცხოური ტურიზმისგან, დაახლოებით, 25-ჯერ. ამას დაემატა ირაციონალური მოლოდინები, რომელსაც აღვივებდნენ გარკვეული პოლიტიკური ძალები და ე.წ. ექსპერტები, რომლებიც დამწვარზე მდუღარეს ასხამდნენ და გვეუბნებოდნენ — ლარი მოკვდა, უნდა დავასაფლავოთო.

რიგითი ადამიანი, მოქალაქე, ამას რომ ისმენს, ფიქრობს: ასე თუ ისე ცნობილი ადამიანი ასე ლაპარაკობს, ესე იგი, მართლა ცუდად ყოფილა საქმე, ამიტომ, ავდგები და თუ რამე დანაზოგი მაქვს, გავიქცევი, გადავახურდავებ, რომ ჩემი თანხა გადავარჩინოო.




**— გამოდის, რომ ამას ზოგიერთი პოლიტიკური ძალა და მავნებელი „ექსპერტი“ სპეციალურად აკეთებს ხალხის დასაზაფრავად?**

— ყველაფერი ხდება არჩევნების მოახლოებასთან ერთად იმ მოტივით, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას.

ოღონდ ხელისუფლებაში მოვიდნენ, გააგდონ ახლანდელი მთავრობა და ლარი კი არადა, ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო, ეს ვარიანტია.

ხოდა, მიადგნენ ახლა ლარს.

ეროვნული ვალუტა ისეთივე სიმბოლოა სახელმწიფოებრიობის, როგორც დროშა, ჰიმნი, ღერბი.

ვინმე სახელმწიფო დროშას საჯაროდ შეურაცხყოფს?

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა ეს, მაგრამ ვალუტას, რომელიც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტია, ვისაც არ ეზარება, ყველა თათხავს და ნაგავში ატრიალებს.

კრიტიკა უნდა ითქვას, მაგრამ კორექტულად და კომპეტენტურ დონეზე.

ობიექტურად რომ მივუდგეთ, ლარის გაუფასურების რეალური მიზეზები არსებობს და ეს არ არის დამოკიდებული დღევანდელ მმართველობაზე.

მე არ ვამბობ, რომ ლარის კურსი არ დაეცემოდა, მაგრამ ვარდნის მასშტაბები უფრო მოზომილი და ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ფუჭი მოლოდინები და დემაგოგია ე.წ. ექსპერტების და ჩასაფრებული პოლიტიკოსების მხრიდან.

**— უფრო კონკრეტულად?**

— ვთქვათ, ვარ „გირჩის“ წარმომადგენელი და ვამბობ, რომ ლარი გარდაცვალების სტადიაშია, ასეთი განცხადებები, რომლებიც არ ემყარება რეალურ მდგომარეობას, კონტრპროდუქტიულია და ლარის გაუფასურებას აჩქარებს.

**— მთავრობის და შესაბამისი სამსახურების მოვალეობა ხომ არის, რომ უფრო ინტენსიურად და რეალურ დონეზე განმარტოს ვალუტის მდგომარეობის შესახებ?**

— მე გავაკეთე პრესით განცხადება და ვთქვი, რომ მხოლოდ მონეტარული ინტერვენცია არ

9 გვ.

# პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ აგრძელებს მაჟორიტარობის კანდიდატების



### „ქართულმა ოცნებამ“ ჭიათურის მოსახლეობას პაატა კვიჟინაძე წარუდგინა

**საქართველოს პრემიერ მინისტრის გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა ჭიათურაში:**

ჭიათურა უმნიშვნელოვანესი ქალაქია ქვეყნის ეკონომიკისთვის. ჭიათურა არის მრეწველობის ფუძე და ეს არ მომხდარა გუშინ და გუშინწინ, ეს მოხდა მაშინ, როდესაც 1879 წელს და მას შემდეგ თითქმის 200 წელი გავიდა, აქ მანგანუმის საბადო აღმოაჩინეს. მას შემდგომ, ჭიათურა საქართველოში ბევრ რამეში იყო ჩემპიონი. აქ იყო პირველი საბაგირო, პირველი სპორტული კორტები და კიდევ ბევრი რამ. ეს ყველაფერი კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ, გავამდიდროთ და წინ წავიყვანოთ, თუმცა ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ისე, რომ ადამიანის შრომის უსაფრთხოება იყოს დაცული და ეკოლოგიასაც უნდა მივხედოთ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი 1 და 2 დღეში ვერ მოხერხდება. ძალიან კარგად მახსოვს, რამდენიმე წლის წინ, როდესაც აქ ჩამოსვლა, ბიზნესსაზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრა და მანგანუმის მოპოვების ტექნოლოგიებში გარკვევა მომიწია, მაშინ სიტუაცია მძიმე იყო. დღეს ცოტა უკეთესია, ბევრი რამ შეიცვალა. არ მინდა დეტალებში შევიდე, თუმცა ყველას უნდა გვესმოდეს, რომ საჭიროა ბალანსის დაცვა ეკონომიკის განვითარებას, ბიზნესის მხარდაჭერას, რაც სამუშაო ადგილებს ნიშნავს და იმას შორის, რომ არ მივაყენოთ ზიანი ჩვენს ბუნებას და რა თქმა უნდა შრომის უსაფრთხოების ელემენტარული წესები დავიცვათ, რომ ეს ზიანი არ იყოს შეუქცევადი და დაუძლეველი. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერთად იმისთვის, რომ ეს ბალანსი ვიპოვოთ. ჭიათურაში მოპოვებული მანგანუმი და მისგან მიღებული სხვადასხვა პროდუქტი დღეს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელია და რა თქმა უნდა, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკაში. რა თქმა უნდა, მანგანუმი აქ ძალიან ბევრ ადამიანს ასაქმებს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს სოფლის მეურნეობაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჭიათურაში შესანიშნავი ჩაი მოდის და ის შესაძლებლობები, რომელსაც სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამით ადამიანებს აძლევს, აქ სულ უფრო და უფრო უნდა გამოვიყენოთ.

გარდა ამისა, უნდა ვიზრუნოთ სისტემურ ინფრასტრუქტურაზე — რა თქმა უნდა გზები, წყალმომარაგება. ასე თუ ისე ჭიათურის ქალაქის წყალმომარაგება დღეს 24-საათიანი არის, დარჩენილია რამდენიმე უბანი, კორპუსი, რომლებიც მოგვარდება, რა თქმა უნდა, უახლოეს პერიოდში, თუმცა მოუგვარებელი რჩება სოფლების წყალმომარაგება და ესეც მისახედია. შემდეგ უკვე საფიქრალია და დასაწყებია უკვე მუშაობა ჭიათურის წყალარინების სისტემაზე, რადგან ჭიათურა ქალაქური სტილით მცხოვრები ქალაქია და წყალარინების ნორმალური სისტემა აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდეს. კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და ეს ყველაფერი ჩვენ უნდა გავაკეთოთ ერთად. ჩვენი ზრუნვის ძირითადი საგანი, ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადამიანი, ჩვენი ახალგაზრდა თაობა — მათი განათლება, ჩვენი მოხუცები — მათი პენსიები, მასწავლებლები, ექიმები, პოლიციელები და ჯარისკაცები. მათზე უნდა ვიზრუნოთ რადგან ეს ის ხალხია, რომლებმაც უნდა იზრუნონ ჩვენს მოქალაქეებზე და მოემსახურონ მათ. ყველაფერი ამისთვის ჩვენ გვჭირდება კიდევ ბევრი გამარჯვება და ამ, გამარჯვებების ნაწილი, ერთ-ერთი ნაწილი იქნება 31 ოქტომბრის არჩევნები, რომელშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ყველანი ერთად გავიმარჯვებთ სამართლიან ბრძოლაში, სამართლიან გამარჯვებას გისურვებთ ჭიათურელებო!

### „ქართულმა ოცნებამ“ საჩხერის მოსახლეობას პაატა კვიჟინაძე წარუდგინა

**საქართველოს პრემიერ მინისტრის გიორგი გახარიას სიტყვით გამოსვლა საჩხერეში:**

მოგესალმებით, საჩხერელებო!

დიდი პატივია აქ, თქვენთან ერთად საუბარი ხვალინდელ დღეზე. რა თქმა უნდა, აკაკის სამშობლოდან საქართველოს მომავალზე საუბარი დიდი პასუხისმგებლობაც არის, მაგრამ ახლა, მინდა ამას ცოტა სხვანაირ, თბილ და შინაურულ გარემოში შევხედო.

ჩვენ ბევრს დავდივართ რეგიონებში, ვმოგზაურობთ, ბევრ გეგმაზე ვსაუბრობთ ჩვენს მოქალაქეებთან და საჩხერეს ერთი რამ განასხვავებს ყველასგან, საჩხერე უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც მოდელი, როგორი საქართველო გვინდა დავინახოთ უახლოეს პერიოდში და ამაში ბიძინა ივანიშვილის პირდაპირი წვლილია. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ უახლოეს პერიოდში, სხვა მუნიციპალიტეტებიც ასეთი იყოს. მარტივად რომ ვთქვათ — ჯანდაცვა, განათლების სისტემა, თავიდან ბოლომდე, ინფრასტრუქტურა, სპორტი, კულტურა, გზები — ეს არის ყველაფერი იმისთვის, რომ ამ მუნიციპალიტეტის თითოეულმა მოქალაქემ ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რომელიც თქვენთვის შეიქმნა და ეს, სიმართლე უნდა ვთქვათ და ვაღიაროთ, შექმნა ფონდმა „ქართუმ“ და ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუდმივად ასე უნდა გაგრძელდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ კარგი საფუძველია და ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ ისე, რომ სხვა მუნიციპალიტეტებიც საჩხერეს დაეწიონ და საჩხერეც კიდევ უფრო გაძლიერდეს.

ზემო იმერეთი-რაჭის გზა იქნება ძალიან მაგარი პროექტი, რომელიც შეძლებს, უფრო მეტი ტურისტი მოიყვანოს ამ რეგიონში.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ონელების, ამბროლაურელებისთვის ეს იქნება უახლოესი გზა, რომ თბილისიდან დაუკავშირდნენ თავიანთ რეგიონს.

გარდა ამისა, რა თქმა უნდა, უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი, პრობლემაა დარჩენილი, დაწყებული წყალმომარაგებით, დამთავრებული წყალარინებით. ეს ყველაფერი ჩვენ ერთად უნდა გავაკეთოთ.

ეჭვი არავის ეპარება, რომ 31 ოქტომბერს ჩვენ საჩხერეში გავიმარჯვებთ ყველანი ღირსეულად, მაგრამ ეს გამარჯვება არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ საჩხერის გამარჯვებას, ეს გამარჯვება ნიშნავს საქართველოს გამარჯვებას, რამეთუ საჩხერე არის ყველაზე კარგი მაგალითი — თითოეულმა ქართველმა, როგორც შეუძლია, როგორ უნდა მოუაროს თავის სამშობლოსა და კუთხეს და ეს მაგალითი ჩვენ ყველას მოგვცა ბიძინა ივანიშვილმა. ეს ის ზრუნვა და ის შრომაა, რომელმაც ჩვენ უნდა მიგვიყვანოს საბოლოო მიზნამდე — ეკონომიკურად ძლიერ, განათლებულ, სამართლიან და ევროპულ საქართველომდე. 31 ოქტომბერს ჩვენ ყველას კიდევ ერთხელ დავუმტკიცებთ, რომ ყველა იმ საქმეს, რომელიც დავიწყეთ, ღირსეულად დავამთავრებთ! გამარჯვებას გისურვებთ!





### პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერები ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესს გაეცნენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**, პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი **კახა კალაძე** და პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძე**, საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან, პაატა კვიჟინაძესთან და ხარაგაულის მერობის კანდიდატთან, კობა ლურსმანაშვილთან ერთად ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ.

საჩხერე-ონის არსებული მარშრუტის (სიგრძე 111 კმ.) სამგზავრო დრო სულ მცირე 1 საათით მცირდება. სატრანსპორტო მოძრაობა საჩხერე-ონის გზაზე მნიშვნელოვნად გაზრდის მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხს, განსაკუთრებით ქალაქებსა და სოფლებში.

აღნიშნული საავტომობილო გზა იმერეთისა და რაჭის რეგიონებისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც თბილისიდან ონში მგზავრობის დროს 1,5 საათით შეამცირებს.

ამ ეტაპზე, აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს 5 ლოტზე, ბოლო მონაკვეთის დასრულება კი 2021 წლისთვისაა დაგეგმილი.

პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტში სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილი რძის გადამამუშავებელი საწარმო დაათვალიერეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ, ზესტაფონი-ბაღდათი-თერჯოლა-ტყიბულის საარჩევნო ოლქში “ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ბეჟან წაქაძესა და თერჯოლის მერობის კანდიდატ ლაშა გოგიაშვილთან ერთად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვაში რძის გადამამუშავებელი საწარმო დაათვალიერეს, რომელიც სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნა.

თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო დღეში 10 ტონა რძეს ამუშავებს, სამი სახის ყველს აწარმოებს და პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახორციელებს. საწარმოში 17 ადამიანია დასაქმებული.

საწარმოში კომპანია „ზეკარმა“ 750 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა, საიდანაც 20 000

# ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წარდგენას საქართველოს რეგიონებში

აშშ დოლარი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო გრანტი, ხოლო 250 000 აშშ დოლარი — შეღავათიანი აგროკრედიტია.

### პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ განცხადება

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი მიესალმება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ, საქართველოში 2020 წლის არჩევნებისთვის სადამკვირვებლო მისიის გახსნას და დარწმუნებულია, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე, საერთაშორისო მისიების მუშაობა ქართული დემოკრატიის განმტკიცების პროცესში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

2012 წლის შემდეგ, ყველა არჩევნები სამართლიან, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ტარდება, რასაც საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებისა და სტრატეგიული პარტნიორების პოზიტიური შეფასებებიც ადასტურებს.

ბუნებრივია, დემოკრატიას მუდმივად სჭირდება განმტკიცება და სრულყოფა, რისთვისაც „ქართული ოცნების“ მხრიდან, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო კომუნიკაციითა და მათი ჩართულობით არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომელიც საარჩევნო პროცესს კიდევ უფრო გამჭვირვალესა და დემოკრატიულს გახდის.

გლობალური პანდემიისა და ეპიდემოლოგიური ვითარების მიუხედავად, „ქართული ოცნების“ მხრიდან ყოველთვის იყო მზაობა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი რაც შეიძლება მეტმა ადგილობრივმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციამ განახორციელოს.

კიდევ ერთხელ მივესალმებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის გადაწყვეტილებას და დარწმუნებულები ვართ, რომ საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე.

### „ქართულმა ოცნებამ“ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მოსახლეობას ვასილ ჩიგოგიძე წარუდგინა

დეპუტატობის კანდიდატი პარლამენტის თავმჯდომარესთან **არჩილ თალაკვაძესთან** ერთად, „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებს შეხვდა.

შეხვედრაზე ისაუბრეს, განათლების პროგრამებზე, ახალგაზრდებისთვის დასაქმების შესაძლებლობებზე და სამომავლო გეგმებზე.

„ქართული ოცნება“ არის პროგრესული, მომავალზე ორიენტირებული გუნდი და ჩვენ, ქვეყნის მმართველობის პროცესში გვინდა კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩავრთოთ. ახალგაზრდები არიან მთავარი ძალა ქვეყნის განვითარების პროცესში და სწორედ, მათთან ერთად ვქმნით უკეთეს ხვალინდელ დღეს,“ – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

„ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდების განათლება, დასაქმება. შეხვედრაზე ვისაუბრეთ მათთვის მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ თემებზე, სამომავლო გეგმებზე და აქტიურ თანამშრომლობაზე. ჩვენს გუნდთან ერთად ვიზრუნებ ახალგაზრდების კეთილდღეობისთვის და ვიქნები მათი მხარდამჭერი,“ — აღნიშნა ვასილ ჩიგოგიძემ.

®



# ეროვნული ვალუტა სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა და მისი მიზანმიმართული დისკრედიტაცია კანონით უნდა ისჯებოდეს



← 7 გვ.

არის საკმარისი, ვერბალური ინტერვენციაც საჭიროა-მეთქი. არ ვიცი, ჩემს ნათქვამზე იყო თუ სხვა რამ მოხდა, ჩემი განცხადებიდან მეორე დღეს დაიწყეს მსგავსი განცხადებების გაკეთება საჯაროდ. ასე უნდა მოხდეს სისტემატიურად და ეპიზოდურად შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისგან.

**— ეროვნული ბანკი დროგამოშვებით ლარის გასამყარებლად ინტერვენციებს ახორციელებს, კიდევ რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო, რომ ეს ინერცია შემცირდეს ან შერბილდეს მაინც?**

— ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენციები, შესაძლებელია, უფრო სხვა ფორმით და სხვა ინტენსივობით განხორციელდეს ისე, როგორც, მაგალითად, პირობითად, თუ გვინდა, რომ კატას კუდი მოვაჭრათ, მოვაჭრათ ის ნაწილ-ნაწილ. აი, ეს ვარიანტია.

კარგი იქნებოდა, საგადასახადო მანევრის ჩატარება იმისთვის, რომ მეტი სტიმული მიეცეს ბიზნესს და მოქალაქეებს, რომ მეტმა წამოიწყოს ახალი კომერციული საქმიანობა.

ჩვენს მოსახლეობას თუმცა აწუხებს ფასების ზრდა, მაგრამ უფრო მეტად აწუხებს შემოსავლების შემცირება.

ბიზნესს უნდა მიეცეს მეტი სტიმული, რომ შეიქმნას სამუშაო ადგილები, მოხდეს წარმოების დეცენტრალიზაცია და დეკონცენტრაცია.

თბილისზე მოდის ბიზნესის ბრუნვის 72%-ზე მეტი.

და რა დააშავეს რეგიონებმა?!

მრავალჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: რეგიონებში ბიზნესსაქმიანობის გააქტიურებისთვის უნდა დაწესდეს საგადასახადო შეღავათები, საკრედიტო შეღავათები მნიშვნელოვანი სუბსიდირებით, მიმზიდველი სოციალური პროგრამები და ა.შ.

უნდა დავიწყოთ რეგიონებში, მთაში, მოსახლეობის დამაგრება.

**— საგადასახადო შეღავათებიც უნდა დაწესდეს. მეტიც, ალბათ, საგადასახადო პოლიტიკა შემოსავლების მიხედვით უნდა იყოს მორგებული გადამხდელზე.**

— თუ, მაგალითად, თბილისში 5 მლნ ლარზე მეტია სალიცენზიო მოსაკრებელი, კაზინო რომ გახსნან, რაიონში, სულ 20 000 ლარი ჯდება, რატომ არ შეიძლება დაბეგვრაც ასე მოხდეს? ამით ეკოლოგიური პრობლემაც გადაწყდება, დემოგრაფიულიც, სატრანსპორტოც და ა.შ.

საქართველო, ზოგადად, მიეკუთვნება იმ იშვიათ სახელმწიფოთა რიგს, სადაც, ჯერჯერობით, არ მოხდა პროგრესულ დაბეგვრაზე გადასვლა.

**— არჩევნები ახლოვდება. ხელისუფლებისთვის არ უნდა იყოს ხელსაყრელი მოსახლეობის უკმაყოფილება ლართან დაკავშირებით, რა პროგნოზებს გააკეთებთ თქვენ?**

— არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ ყველგან, ეკონომიკა პოლიტიკის მძევალია და განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში. ვფიქრობ, არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომაც, როგორც მიწისძვრის შემდეგ, რყევები რჩება, ასეთ რყევებს კვლავ ექნება ადგილი. ეკონომიკა, ფაქტობრივად, პოლიტიკაზეა დამოკიდებული და პოლიტიკურ სტაბილურობას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს.

პოლიტიკური ძალები, რომლებიც არა მარტო ემზადებიან არჩევნებისთვის, არამედ პერანგის სახელოებში მალავენ კომპრომატებს, თითქოსდა, უკანასკნელი ბრძოლისთვის, ასეთ პირობებში სწორ და ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის მაგისტრალური ხაზის გატარებაზე რთულია საუბარი.

საჭიროა მყარი ნება, მაგრამ დემოკრატიის პირობებში ეს ნაკლებად სავარაუდოა.

ამასთანავე, ვისურვებ, არ დაავიწყდეს არც ერთ პოლიტიკურ ძალას, რომ ნებისმიერი გაბრძოლება კონკურენტის წინააღმდეგ, ისე უნდა განხორციელდეს, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს სახელმწიფოებრიობას და ჩვენი ქვეყნის მომავალს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ნაცმოძრაობის სია, ანუ ნაციონალური მჟნილი, დამჟანარი კიტრებით და გადამწიფებული პომიდვრებით







მოგესალმებით, ძვირფასო მე-
გობრებო, ხომ ბრძანდებით კარ-
გად და ლაზათიანად?

აბა, რააა, ე.წ. ოპოზიციამ (ძა-
ლა ერთობაშიაო, რომ იძახიან),
ისეთი საარჩევნო სია წარმოადგი-
ნა, ქე უნდა იყოთ სიცილის ხასი-
ათზე. ეტყობა კი არა და... ასია-
ნი ეგრეა, ამათ ვერ გაიგეს, რომ
ძალა ნიკა მაჭუტაძის, გრიგოლ
ვაშაძის, ნატო ჩხეიძის, მურთაზ
ზოდელავას, ნიკა მელიას, ნანუკა
ჟორჟოლიანისა და ამათთანების
ერთობაში კი არა, ღირსეული კა-
ცებისა და ღირსეული მანდილოს-
ნების ერთობაშია.

მოდით, სანამ ჩემეულ შეფა-
სებას შემოგთავაზებთ, კიდევ ერ-
თხელ გადავავლოთ თვალი ამ
დაწყევლილთა საპარლამენტო
სიის პირველ ოცდახუთეულს.

მაშ ასე, მოემზადეთ ტაშიკვ-
რისთვის!

„ნაციონალური მოძრაობის“
იქნებიან:

გლდანი – **ნიკა მელია**. ეს
კარდიოლოგ ანზორ მელიას შვი-
ლია. თავად ანზორი ყოველი
არჩევნების წინ თავის მოკვლას
აპირებს, მაგრამ ამ წუთამდე
ცოცხალია. გამოვა ხოლმე საზო-
გადოების წინაშე და აცხადებს, თუ
„ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა,
ჩემ სიცოცხლეს აღარ აქვს აზრიო.
თავად ნიკა (ნიკანორი) ამბობს, ეს
არჩევნები 2012 წლისას მაგონებს,
ხელისუფლებას ეგონა, ვიგებო და
უცებ წააგოვო:

„წლევანდელი არჩევნები მა-
გონებს 2012 წელს, როდესაც წი-
ნა ხელისუფლებას შანსი აღარ
ჰქონდა და ხალხმა საარჩევნო უბ-
ნებთან მშვიდობიანი რევოლუცია
მოუწყო – წელსაც ხალხი გაის-
ტუმრებს ივანიშვილის ხელისუფ-
ლებას“.

მეგობრებო, ცოტა ხანს შეწყ-
ვიტეთ სიცილ-ხითხითი, რათა
თქვენი სახელით მივმართო მა-
ჟორიტარობის უიმედო კანდი-
დატს: ნიკანორ, მოგიტ.ან მეხსიე-
რება! 2012-ში ბიძინა ივანიშვილს
300 ათასი კაცი გამოჰყავდა ქუ-
ჩაში. ახლა კი რა ხდება, მის-
ტერ ჯიგარსონ? მხარდაჭერა არ
გაქვთ (ქუჩებში ბალღებს დას-
დევთ), სადაც მიდიხართ, კარს
არ გიღებენ.

ისანი – **ხატია დეკანოიძე**.
აგაი იგი, მიხეილ სააკაშვილის
ყოფილი რძალი. უდუმაშვილის
დავთრების თანახმად, დეკანოი-
ძე გახლავთ სამი სახელმწიფოს
რეფორმატორ-ფუძემდებელი –
საქართველოსი, უკრაინისა და
მოლდოვასი. უკრაინაში პოლიცი-
ის უფროსად რომ დანიშნეს ორი
კვირით და მერე გამოაბუნძულეს,
ეგ ვიცით, მაგრამ მოლდოვა-სა-
ქართველოს სახელმწიფოებრიო-
ბას როდის ჩაუყარა საფუძვლები,
მე პირადად ვერ ვიხსენებ. აქ შეგ-
ვიძლია თამამად განვაცხადოთ:
ტაში, კუკური!

რუსთავი – **დავით კირკიტა-
ძე**. ტიპი მოუსვენარი და ანცი.
2004-ში ძალაუფლება რომ ჩაიგ-
დეს ხელში, კირკიტაძე მთავრო-
ბის სახლში დაცვის ერთ-ერთმა
წევრმა არ შეუშვა, საშვი წარმო-
მიდგინეო. იმ საცოდავს მართლა
ეგონა, ჩვენს სახელმწიფოში არა
მხოლოდ დემოკრა-
ტია, კანონისადმი
პატივისცემაც დამ-
ყარდაო. კირკიტაძემ
თავ-ყბა რომ გაუ-
ერთიანა, მერე მიხვ-
და, რა წყობილებაც
დამყარდა. მიხეილ
სააკაშვილმა „გააპ-
რავა“, დათო მაგარი
ბიჭია, ვაჟკაცია, მეტს
აღარ იზამსო. იზამსო
კი არა, ისეთები ქნა,
ლამის მთელი ქვეყანა
დაიმხო თავზე, ბოლო
საპრეზიდენტო არჩევ-
ნების შემდეგ კი, რო-
ცა თელავში სალომე
ზურაბიშვილის ინაუ-
გურაცია მიმდინარეობდა, ველის-
ციხის გადასახვევთან ჩაყენებულ
ავტობუსში აძვრა და პოლიციე-
ლებს წიხლები ურტყა. დაიჭირეს,
ცოტა ხანს აყურყუტეს, გამოუშვეს
და აჰა, კვლავ მოუნდა რუსთავის
თავკაცობა. თქვენი არ ვიცი და...
მე ისევ აღმომხდა: ტაში, კუკური!

გარდაბანი-მარნეული – **აზერ
სულეიმანოვი**. ადამიანი, რომე-
ლიც 2004 წლიდან მოყოლებუ-
ლი პარლამენტში ზის და მისი ხმა
არავის გაუგონია, ფაქტობრივად
უჩინ მაჩინაშვილია, ქუჩაში რომ
შეგხვდეთ, ვერ იცნობთ. არადა,
„მოქალაქეთა კავშირში“ დაიბადა
და „ნაცმოძრაობაში“ გაიზარდა.
ისე შეესისხლხორცა გარდაბანსა
და მარნეულს, მეხუთედაც უნდა.
სალამ ალეიქუმ, კუკური!

ტაში არ დაგავიწყდეთ, მეგობ-
რებო, დასავლური ღირებულებე-
ბით გაჟღენთილი სულეიმანოვი
ნამდვილად იმსახურებს აპლო-
დისმენტებს!

ბოლნისი-დმანისი-წალკა-თეთ-
რიწყარო – **კახა ოქრიაშვილი**.
ეს ყველაზე მაგარი ჩამოსხმაა,
დმანისის ერთ-ერთი სოფლის
ამბულატორიის გამგე იყო და
იმდენი იჩალიჩა, წელიწადში 10
მილიონი აქვს შემოსავალი. ამას
წინებზე ტელევიზორში ღლიცი-
ნებდა, 1990-იან წლებში 15 ათასი
ლარით დავიწყე ბიზნესი, წამლე-
ბი შემოვიტანე და ისეთი მაღალი
ფასები დავადე, 100 ათასი მოგე-
ბა ვნახეო. მას მერე არ დაუგდია
ფასები, გაატყავა ხალხი, მოჯდა
პარლამენტში და ამასაც მეხუთედ
უნდა კიდევ მოჯდომა. გარკვეულ
წრეებში დმანისის ფეოდალს უწო-
დებენ და არის კიდევაც, უფრო



სწორედ, იყო. ბატონი კახა გენე-
ტიკურად ციყვია, ოღონდ ხიდან
ხეზე კი არა, პარტიიდან პარტიაში
დახტუნავს.

გორი-კასპი – **ბადრი ბასიშ-
ვილი**. ვაიმეეეე... ამ ადამიანისა
მეშინია, სულ მგონია, რომ ქვებს
ისვრის. რაღა დაგიმალოთ და
შორს გავარდნილა მისი სახელი,
თავის დროზე ზონდერ-ბრიგადი-
რი იყო.

რავი, მე მაინც მეშინია, კუ-
კური!

ხაშური-ქარელი – **ნატო
ჩხეიძე**. ოოო, ეს გახლავთ ჩაგ-
რულთა მასების წარმომადგენე-
ლი, რომელიც ასხეპილ წარბებს
იშვიათად იხრის. მას ვერასდროს
შეატყობთ, რა სწყინს, რა უხარია
და რას ფიქრობს – არისტოკრატი-
ული წარმომავლობა, მით უფრო
ზაზა ოქუაშვილის ცოლობა არ
აძლევს იმის უფლებას, თამარა
ჩერგოლეიშვილივით იტინგიცოს
და იანცოს. ნატო ძალო ყოველ-
თვის უნდა იყოს პარლამენტში,
ამისთვის სულაც არ არის მოსახ-
ლეობის მხარდაჭერა საჭირო, მი-
ვა რომელიმე პარტიაში, მიიტანს
ფულსა და საქმეც გაშანსულია.
ეხლა ეს ქალბატონი გვეუბნება,
მე მოვალ კოალიციურად მაჭუ-
ტაძე-ვაშაძესთან ერთად და ცხოვ-
რებას აგიწყობთ საათივითო. ამას
საკუთარი დავთრები ვერ აუწყვია,
ამოდენა ხალხი გადაყარა, ჩვენ რა
უნდა აგვიწყოს?

ტაში, კუკური კი არა და... ტა-
ში, ნატო ძალო!

ბორჯომი-ახალციხე-ადიგე-
ნი-ასპინძა – **ვაჟა ჩიტაშვილი**.
აი, არ დაიჯერებთ, ეს ადამიანი
აქამდეც დეპუტატი ყოფილა, მერ-
ვე მოწვევისა და
ეხლა მეცხრესაც
უმიზნებს. იცით,
ბატონ ვაჟას რა
უწერია ბიოგრა-
ფიაში, რომელიც
საქართველოს
პარლამენტის სა-
იტზეა გამოშვანშ-
ვალებული?

საგანმანათ-
ლებლო დაწესე-
ბულება: „საბჭოთა
კავშირის შინაგან
საქმეთა სამინისტ-
როს მოსკოვის მი-
ლიციის უმაღლესი
სკოლა“.

1984 წლიდან
იყო სოფელ ვალეს მახარაძის სა-
ხელობის კოლმეურნეობის წევრი.
შემდეგ გადაფრინდა მოსკოვში,
ისწავლა მილიციანერობა, ჩამოვი-
და და ხან რომელი რაიონის პრო-
კურორად მუშაობდა, ხან რომელი
რაიონისა. ჰოდა, ესენი, ეს ვითომ
პროევროპიული მიმართულების
ვიგინდარები სხვებზე იძახიან,
რუსეთუმეაო, შევარდნაძის დრო-
ინდელიაო, წარსულიაო.

ტაში, საბჭოთა მილიციააააა!

ახალქალაქი-ნინოწმინდა –
**მელიქ რაისიანი**. ტიპი მესამე
„კრუგს“ უმიზნებს და ერთხელ
ხმა არ ამოუღია. პრინციპში,
არც უნდა ამოიღოს, როდის
იყო, ბუღალტრები ლაპარაკობ-
დნენ, თანაც პურკომბინატის
ბუღალტრები? 1917-ში მელიქი
წავიდა ერევანში, დაამთავრა
სახალხო მეურნეობის ინსტი-
ტუტი, დაბრუნდა სამშობლოში
და დღემდე „ჩოთქი“ არ გაუგ-
დია ხელიდან.

ტაში, ბუღალტერია – ძირს,
ვინც ქვეყნის მტერია!

ონი-ამბროლაური-ცაგერი-
ლენტეხი-მესტია – **დილარ ხა-
ბულიანი**. ამბობენ, ამას დილარი
კი არა „დოლარი“ ჰქვიაო. იმასაც
იძახიან, ბატონი „დოლარი“ „ნა-
ციონალური მოძრაობისთვის“ დი-
დი შენაძენია (ზაალ უდუმაშვილმა
განაცხადა), ახალი სახეაო. მმმუ-
უუააააჰაჰაჰაჰა! ახალი საიდან არი,
ხალხო, როცა 2008-დან 2012-მდე
პარლამენტში იჯდა „ნაციონალე-
ბის“ კვოტით?! ყველაზე მაგარი
ის არის, რომ ეს ადამიანი თავის
დროზე იყო ზვიად გამსახურდი-
ას მთავრობის შინაგან საქმეთა
მინისტრი და ახლა იმ ხალხში
ტრიალებს, ვინც გამსახურდიას
უპირისპირდებოდა იარაღით. რა
გამოდის? დიიააახ, სწორედ ის,
რაც ახლა გაიფიქრეთ.

ტაში, დოლარი!

ხარაგაული-საჩხერე-ჭიათუ-
რა – **გიორგი კაპანაძე**. ამაზე
რამის თქმა არც ღირს, ახალგაზრ-
დულ წლებშივე წავიდა ხელიდან,
გაფუჭდა. თან ნახეთ, საჩხერეში
უნდა მაჟორიტარობა, ბიძინა ივა-
ნიშვილის რაიონში. როგორც ჩანს,
შტაბში უთხრეს, ერთადერთი შენ
ხარ, ვისაც ბიძინას დამარცხება
შეუძლიაო.

ამ დღეებში ბრიტანულმა კომ-
პანიამ – შურვატიონ“-მა გამოაქ-
ვეყნა საზოგადოებრივი აზრის
კვლევა, -საჩხერე-ჭიათურა-ხა-
რაგაულის მაჟორიტარული ოლ-
ქის ამომრჩევლების 80,5% ხმას
“ქართული ოცნების” კანდიდატს,
პაატა კვიჟინაძეს უჭერს, გიორგი
კაპანაძეს კი 7,5% ემხრობა.

წადი, კუკური, ტოლი ნახე,
კოჭი გააგორე, ფისი ქენი, დაი-
ძინე!

თერჯოლა-ზესტაფონი-ბაღ-
დათი-ტყიბული – **კახა გეწაძე**.
ესეც მესამე „კრუგს“ უმიზნებს,
ჯერ კიდევ დეპუტატია, 2004
წლიდან მოყოლებული, იქ ზის.
პროფესიით მკურნალი ექიმია.
ლაპარაკი და ხელების პარჭყ-
ვა არ ეხერხება, ჭერში იყურება
და ბუზებსა სთვლის. იცით, არის
რაღაც რომანტიკული ბატონ კა-
ხაში: როდესაც ხარ დეპუტატი
და ყველა გიცნობს, ეს სიამოვ-
ნებასთან ერთად შეიცავს საფრ-
თხესაც – ხომ შეიძლება, ვინმემ
ხელები ვეღარ მოთოკოს და თავ-

ში წამოგართყას? ჰოდა, როცა მთელი ცხოვრება დეპუტატი ხარ და არავინ გიცნობს, შენი არსებობის შესახებაც კი არავინ იცის, უფრო დაცული ხარ.

ტაში, კახა ექიმო!

ვანი-სამტრედია-ხონი-წყალტუბო – **ნანუკა ჟორჟოლიანი**. „ნაციონალურ“ ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალიღა აკლდა და აჰა, ისიც გამოცხადდა. პარტიას ისე რომ გაუჭირდება, ჯერ საბჭოთა მილიციანერს ჩასვამს სიაში, შემდეგ კი ნანუკა ჟორჟოლიანს, უკაცრავად და... ბოლომდე დედა აქვს მოტ...ნული. სხვათა შორის, ამ ოლქში „ნაცებმა“ თავიდან „ღენერალი“ დევი ჭანკოტაძე ჩაწერეს, ტიპმა სოფელ-სოფელ დაიწყო სიარული და უცებ უთხრეს, „პაშოლ ტუდაო“. რაც შეეხება ნანუკა ჟორჟოლიანს, ანუ ერეკლე კოდუას ყოფილ კნეინას, ანუ ჩაჯვთა კლასტერის თვალსაჩინო წარმომადგენელს, უკვე გითხარით, ჯოჯოხეთში ჩამატებული მუგუზალია.

ტაში, ნანუკ!

ქუთაისი – **გრიგოლ ვაშაძე**. „კაგებეშნიკი“ ვაშაძე 2012 წლის შემდეგ წვალობს ქუთაისში, მაგრამ რათ გინდა? სულ ტყუილად. ასიანი, ამ ჯერზეც კუდამოძუებული წამოვა იმერეთის დედაქალაქიდან და მერე მთელი ოთხი წლის განმავლობაში იბუყბუყებს წყალში გაკუებულივით, გამიყალბესო.

ტაში, ტუში, „ტანცი“, ღრიღოლ!

ფოთი-ხობი-სენაკი – **მურთაზ ზოდელავა**. დიახ, ეს ყოფილი გენპროკურორი გახლავთ, 2012-ში სეიფი რომ გაუხსნეს და ფარული ვიდეოების კასეტები რომ აღმოუჩინეს. ამას იმდენი სიბინძურე აქვს ჩადენილი, ციხეში უნდა იჯდეს, მაგრამ აგერ, ზის ტელევიზორში, იბღვირება ახურებულ ბუღასავით და ჭკუაზე მარიგებს, მორალს მიკითხავს.

„დავაი“, მურთაზი!

ბათუმი – **ლევან ვარშალომიძე**. ამაზე იძახიან, პოლიტიკოსი კი არა ტურისტიაო – წავა უკრაინაში, ვითომ დანიშნავენ დიდ თანამდებობაზე, ცოტა ხანს გაქრება, მოახლოვდება არჩევნები, ისევ ჩამოვა... მოკლედ, წავა, ჩამოვა, წავა, ჩამოვა. ყოველ ჯერზე დავით აღმაშენებლის სახელით ჩამოდის.

ტაში, კუკური!

ქობულეთი-ხელვაჩაური – ბონდო თედორაძე. ქობულეთის საკრებულოს წევრი „ნაცმოძრაობიდან“. გამოირჩევა გაწევ-გამოწევით და დებოშისტობით. ფაქტობრივად, ქობულეთში თანამედროვე „კმარელია“. თუ საჭიროა, ქვების სროლასაც დაიწყებს.

ტაში, ბონდო!

აბა, ელაპარაკე ამას, კუკური, „სამადავოლნი ბალვან“!

საგარეჯო-გურჯაანი-სიღნაღი-დედოფლისწყარო – **ლევან ბეჟაშვილი**. აი, ეს ხომ ამდენი ხანია პოლიტიკაშია? მაინც ვერ გაიგებთ, ვინ არის და რას წარმოადგენს. მეტსაც გეტყვით, წარმოშობით ჩემი სოფლიდან გახლავთ, მე არ მახსოვს, მაგრამ ამბობენ, აქ გაიზარდაო. არ ვიცნობ, რადგან არც წყალია, არც ღვინოა, არც „რიბაა“, არც „მიასაა“.

არც კი ვიცი, რა ვუთხრა კუკურის, შანსი არ აქვს!









ლაგოდეხი-ყვარელი-თელავი-ახმეტა – **გიორგი ბოტკოველი**. ეს ტიპი ფაქტობრივად პატარა გრიგოლ ვაშაძეა, 2012-დან მოყოლებული კენჭს იყრის კახეთში, თელავში და მაინც არაფერი გამოსდის. უფრო დავაზუსტოთ: ბოტკოველი არის პატარა ცინოვნიკ-აქტივისტი, სააკაშვილის ზეობის პერიოდში ხან გამგეობაში მუშაობდა, ხან ბალღებს დასდევდა ბანაკებში. ახლა ისევ დეპუტატობას უმიზნებს, ოღონდ ამაოდ.

აი, ეს გახლავთ „ნაცმოძრაობის“ „ბაგაჟის“ ნაწილი მაჟორიტართა კანდიდატების მხრივ. საზოგადოებაში ხუმრობენ, მიხას ახალი სახეები არ ჰყავს ანტიკვარიატი გამოყარაო. ანტიკვარიატი არა, ჩემი ფეხები, ყველა მათგანი კაი ხნის ჩადებული მწნილია, აღარავინ რომ აღარ ჭამს... კუკურის გარდა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# პოლიტიკური ჰარამხანა და საერთო მამალი



სწორედ ამ ოპოზიციაზეა ნათქვამი: მეზობელს ცოლ-ქმრის ჩხუბი მართალი ეგონაო.

ესენიც დღისით დასცხებენ ერთმანეთს, დაპორჭყნიან, დაფრჩხილავენ, ღამე კი ხან ნიკუტას, ხან — ეკას, ხან — ინგას პოლიტიკურ „სპალნაში“ რიგდებიან.

გადის დრო და ისევ თავიდან იწყება ყველაფერი — იჩხუბებენ, შერიგდებიან! იჩხუბებენ, შერიგდებიან!

ან რატომ ჩხუბობენ, ან რატომ რიგდებიან, თუ ისევ უნდა იჩხუბონ?

ჩემი დაკვირვებით. ამათი ჩხუბისა თუ შერიგების მიზეზი ერთი კაცია, რომელიც შორეული კიევიდან დისტანციურად მართავს ამათ ვნებებს და განწყობებს, ესენი კი ვერ ხვდებიან მის ენერგეტიკულ ქსელში რომ არიან ჩართულები და ელემენტებზე მომუშავე თოჯინებივით ენას და ხელ-ფეხს ვერ აჩერებენ.

იტყვის ეს კაცი **ᲘᲥ** — პარტიუკები და პოლიტიკანები ვის დაჰკარგვიაო, და დაერევიან ესენი **ᲐᲥ** ერთმანეთს.

იტყვის ეს კაცი **ᲘᲥ** — კოალიცია არ მჭირდება, ივანიშვილი მარტომ უნდა დავამარცხოო, და ატყდება გნიასი და ვაი-უშველებელი **ᲐᲥ** — გვიღალატა, გაგვყიდა, ივანიშვილს შეეკრაო.

ის **ᲘᲥ** არის, ესენი **ᲐᲥ** არიან და, წესით და რიგით, ამათ აქ სულ ფეხებზე უნდა ეკიდოთ, რას იტყვის ის **ᲘᲥ**, მაგრამ არა — ისე მტკივნეულად, ისე მყისიერად რეაგირებენ მის მიერ იქ გაჟღერებულ თითეულ ფრაზაზე, თითქოს მათი ყოფნა-არყოფნა ამ ფრაზაზე იყოს დამოკიდებული.

რა უხილავი ძაფებია მათ შორის გაბმული, ძაფი კი არა, რა ჯაჭვით არიან ერთმანეთზე გადაბმულ-გადაფსკვნილნი, ჩაგრეხილ-ჩაწნეხილნი, რომ ის **ᲘᲥ** რაღაცას წამობოდავს და ამათ **ᲐᲥ** გულის ფრიალი ემართებათ?

ფროიდი რომ ცოცხალი იყოს, ამ უცნაურ და აუხსნელ მოვლენას გაუცნობიერებელი სექსუალური ლტოლვით და სექსუალური ინსტინქტებით ახსნიდა.

პოლიტიკური გუნდი ხომ ზოგჯერ ძალიან ჰგავს ჰარამხანას, რომელსაც ერთი საერთო „მამალი“ ჰყავს, რომელსაც მთელი ჰარამხანის დაგრილება და დარწყულება ევალება. მაგრამ, როცა საერთო „მამალი“ გარე-გარე დარბის და ჰარამხანას მხოლოდ ყიყლიყოთი ეხმიანება შორიდან, ცხადია, ჰარამხანა უკმაყოფილო კრიახს და ქვითქვითს იწყებს.

სიმართლეს ვერ ამხელენ, თორემ, სინამდვილეში, ის მამალი მოენატრათ, კოკაინნაყნოსი და ვიაგრანაყლაპი რომ ჩამოურბენდა ხოლმე ამათ და თავისებურად რომ დააწიოკებდა.

სტოკჰოლმის სინდრომი ჰქვია იმას, რაც ამ თავგზაარეულ ჰარამხანას სჭირს — ცხრაწლიანი ბღლარძუნის შედეგად თავისი გამპაუტიურებელი და მოძალადე შეუყვარდათ. ის კი არ ჩამოდის — ზის სხვის ქანდარაზე, ხან ასე ყივის, ხან — ისე და შიგადაშიგ იმათ ასკინტლავს თავზე, ვინც ამ ქანდარაზე შემოსვა...

შე სულელო მამალო, შორიდან ყივილი და ყიყლიყო კი არა, დაჩინჩვლა უნდა ამ ცუდად ახუნტრუცებულ-აცეტებულ ჰარამხანას.

ჰოდა, ჰამოდი რა, ჰამოდი, თორემ დაწყდნენ და ჩამოიღვენთნენ ეს საბრალოები შენზე დარდით და შენი მონატრებით.



# ისინი, ვინც ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებასთან" კოალიციაში არ შევლენ, ავტომატურად აკეთებენ დაშვებას, რომ კოალიციას „ნაციონალებთან" შექმნიან

*გვესაუბრება პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა:*



**- ოპოზიციური სპექტრს მთავარ მიზნად „ქართული ოცნების", ანუ ბიძინა ივანიშვილის დამარცხება რომ აქვს გამოცხადებული და თურმე კოალიციური მმართველობის შექმნას რომ აპირებს, ვისთან ქმნით ამ კოალიციას, ნაციონალებთან, რომლებიც კატეგორიულად მიუღებელნი არიან ქართველი ხალხისთვის?**

- ვფიქრობ, ეს ვითარება ძალიან გავს შევარდნაძის მმართველობის პერიოდს, როცა მოქალაქეთა კავშირი და „აღორძინება" ასე ვთქვათ, კვებავდნენ ერთმანეთს. არის ასეთი გამოთქმა — უკიდურესობები ერთმანეთს კვებავენ. გახსოვთ, როგორც კი გაქრა მოქკავშირი, სადღაც ექვს თვეში „აღორძინებაც" მიყვა. ჩემი აზრით, ახლა ზუსტად იგივე მოცემულობაა.



**- დავუშვათ, „ქართული ოცნება" წააგო არჩევნები და „წავიდა", რაღაც ძალიან საეჭვოა ნაცმოძრაობამ თავისი ვითომდა განმდგარი „ბოკერია და კომპანიით" ასე ადვილად დატოვოს პოლიტიკური ასპარეზი და „გაქრეს".**

- იცით რაშია საქმე, ჩვენ ხომ უნდა გვესმოდეს, რატომ იღებს ამომრჩეველი ამ გადაწყვეტილებას, „ქართულ ოცნებას" არა იმიტომ აძლევს თავისი ხალხი ხმას, რომ მოწონს ეს პარტია, არამედ ნაცების ჯინაზე და ნაცების ე.წ. მომხრეებიც ამავე იგივე მიზეზით უჭერენ მხარს ნაცმოძრაობას. ეს განსაკუთრებით, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გამოჩნდა, ნაციონალების კანდიდატს ხმა მისცეს არა იმიტომ, რომ ვაშაძე მოწონთ, არამედ ბიძინა ივანიშვილის ჯინაზე. ეს თვითონ ივანიშვილმაც აღიარა, როცა თქვა ხალხმა ჩვენ დაგვსაჯა ჩვენი ტყუილებისთვისო. ამიტომ ავტომატურად ალტერნატივაც გაქრება ხომ? ის დღეს რომ არის, თუ ქოცი არა, აბა ვინ, ნაცი? მეორე მხარე პირიქით რომ ამბობს, თუ ნაცი არა, აბა, ვინ — ქოციო, როგორც კი ერთ-ერთი მათგანი აღარ იქნება, ავტომატურად გაჩნდება უკვე სხვა არჩევანი.

**- ნორმალურად თვლით იმ ე.წ. პოლიტიკოსებს, ვინც შალიკოს ფანჩატურში ნაცებს მოუსკუპდა გვერდით, და ამ ქართველი ხალხის ჯალათების მარტო სატელიტებად კი არა, პირდაპირ მათ შემადგენელ ნაწილად იქცა?**

- მხოლოდ ეს ხომ არ არის პოლიტიკური სპექტრი? არის ჩვენი პარტია „თავისუფალი საქართველო", კიდევ არის რამდენიმე პოლიტიკური ძალა, რომლებიც არც ნაციონალების ორბიტაზეა და არც ივანიშვილის. მე მინდოდა, რომ ამ არჩევნებისთვის შეგვექმნა ახალი პოლიტიკური ცენტრი, მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერ მოხერხდა და ვფიქრობ, არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, ასეთი ცენტრის შექმნა შესაძლებელი გახდება. ვფიქრობ, „ქართული ოცნება" პირველ ადგილს ალბათ აიღებს, დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს, თუმცა აიღებს თუ არა 50%-ს... მე პირადად, უფრო მეტად ვფიქრობ, რომ არა. წინასწარმეტყველება პოლიტიკაში უმადური საქმეა, განსაკუთრებით პოლიტიკოსისთვის, მაგრამ ვფიქრობ, „ქართული ოცნება" არ მოინდომებს უმრავლესობის აღებას, რადგან ყველას კარგად გვესმის, რომ მმართველი პარტიის თავზე დამოკლეს მახვილივითაა დაკიდებული დასავლეთის სანქციები, რომელიც ზუსტად არავინ იცის, როდის ამუშავდება. საპარლამენტო არჩევნებმა შეიძლება კატალიზატორის როლი შეასრულოს. ამისი კარგი მაგალითია შევარდნაძის მმართველობის დროს მომხდარი რევოლუცია. შევარდნაძეს 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, მოქკავშირისთვის პირველი ადგილი რომ არ დაეწერა, ის 2005 წლამდე დარჩებოდა პრეზიდენტის კაბინეტში, მაგრამ მის მიერ არჩევნების გაყალბებამ, გარკვეული კატალიზატორის როლი შეასრულა. ამიტომ ვფიქრობ, ქვეყნისთვისაც, მმართველი პარტიისთვისაც და ოპოზიციისთვისაც ოპტიმალური იქნება, თუ „ქართული ოცნება" სადღაც 40%-მდე ჩაეტევა თავის აპეტიტში.

უნდა ჩამოყალიბდეს კოალიციური მთავრობა, რომელიც ჰაერივით სჭირდება საქართველოს. კოალიციური მმართველობა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ნელნელა გავხდებით ცივილიზებული ერი, უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ქართველები ვიწყებთ ერთმანეთთან ლაპარაკს. ჩვენ ხომ რაც დამოუკიდებელი პოლიტიკური, დემოკრატიული ქვეყანა შევქმენით, ერთმანეთთან ფაქტობრივად, ვერ ვლაპარაკობთ, ჩვენ ხომ ერთმანეთს მარტო მოღალატეებად, ჯაშუშებად და მსგავსი ეპითეტებით მოვიხსენიებთ. კოალიციური მთავრობა ნიშნავს იმას, პოლიტიკურ ძალებს მოგვიწევს ერთმანეთთან დიალოგის წარმოება, კომპრომისების მიღწევა, თუ გვინდა მართლა თანამედროვე სახელმწიფო, ეს კომპრომისების გარეშე შეუძლებელია. ასე თქმა, რომ მე ვარ მთავრობაში და რასაც მინდა იმას ვიზამ, ეს მაია ნადირაძის ფრთიანი ფრაზაა, „ქართულმა ოცნებამ" მთლიანად გადაიღო და უნდა ითქვას, რომ ამისი უარყოფითი შედეგები სახეზეა.

**- ვისთან უნდა შეიქმნას კოალიციური მმართველობა, ნაციონალებთან, მთავარ ოპოზიცირ ძალად ხომ ისინი ითვლებიან, ეს ხომ ნაცმოძრაობის ხელისუფლების სათავეში მობრუნებას ნიშნავს?**

- კოალიციური მთავრობა არანაირად არ გულისხმობს იმას, რომ მაინც და მაინც მეორე ადგილზე გასულ პარტიასთან უნდა შექმნა, კოალიცია შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან, რომელთან ერთადაც „ქართული ოცნებას" ექნება ხმათა 51%. ამიტომ ვინ ვისთან შექმნის კოალიციას და თვითონ „ქართული ოცნება" იქნება თუ არა კოალიციაში, რა თქმა უნდა არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული, ვინც ვერ აიღებს შედეგს, ცხადია, ისინი კოალიციაში ვერ მოხვდებიან. ზოგმა აიტაცა ნაცების ლოზუნგი, ყველა ერთის, ანუ „ქართული ოცნების" წინააღმდეგ, ჩვენ წინასწარ არაფერს გამოვრიცხავთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ალბათობა „ქართულ ოცნებასთან" კოალიცია შევქმნათ, არის ძალიან დაბალი, თუმცა გამორიცხვით არაფერს გამოვრიცხავ. რომელიმე პარტიის მხრიდან რაიმეს ასე კატეგორიულად გამორიცხვა, ჩემი აზრით, იქნებოდა არასერიოზული, იმიტომ, რომ ამ ტიპის კოალიცია დამოკიდებულია შეთანხმებაზე. დეკორაციულად ჩვენი პარტია არცერთ კოალიციაში არ შევა, მაგრამ ჩვენი პროგრამის ძირითადი დებულებები კოალიციურ შეთანხმებაში თუ იქნება გაზიარებული და მე წინასწარ ვთქვა, რომ მაინც კატეგორიულად გამოვრიცხავთ ვინმესთან კოალიციას, ეს იქნება ჯინიანობა და არასერიოზული. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამაზე საუბარი არის ჯერ ნაადრევი, ჯერ ჩვენ ქართველი ხალხის მანდატები გვაქვს მისაღები და როცა მივიღებთ, მერე შეიძლება დაიწყოს კოალიციაზე საუბარი. არავითარ შემთხვევაში არ შევალთ „ქართულ ოცნებასთან" კოალიციაშიო, ჩვენ ამ ტიპის განცხადებებს არ ვაკეთებთ. ის ხალხი, ვინც ამბობს რომ „ქართულ ოცნებასთან" კოალიციაში არ შევა, ის ავტომატურად აკეთებს დაშვებას, რომ კოალიციას შექმნის ნაციონალებთან. ჩვენ ვფიქრობთ, ასე თუ იტყვი, რომ ვიღაცასთან არ შექმნი, მაშინ იმდენი პარტია უნდა ჩამოთვალო, რაც იგივეა, რომ არავისთან ქმნი კოალიციას. ამიტომ არ ვუყურებთ სერიოზულად იმ ხალხს ვინც ამბობს, რომ „ქართულ ოცნებასთან" არ შექმნის კოალიციას, არც მათ განცხადებებს განვიხილავთ სერიოზულად. მინიმუმ ორი პარტია ვიცით, რომელიც „ნაყიდი" ყავს მთავრობას და აპირებს კიდეც მასთან კოალიციის შექმნას.

**- „თავისუფალ საქართველოს" ძალიან კარგ დაპირებები გქონდათ მოსახლეობისთვის იაფი წამლების შემოტანა-რეალიზაციასთან დაკავშირებით, მაგრამ გაგრძელება აღარ ქონდა ამ პროგრამას. რატომ გაჩერდით, უსახსრობამ შეგიშალათ ხელი თუ სხვა მიზეზებიც იყო, თუნდაც წამლის სააგენტოს და სხვა სამსახურის დამოკიდებულება?**

- ეს უფრო მთავრობის მიზეზით მოხდა, საკითხი ფულზე იმდენად არ არის მიბმული, რამდენადაც კორონავირუსის პანდემიაზე. ამ პანდემიის გამო, საზღვრები დაიკეტა, მათ შორის თურქეთთან და ამან შეგვიქმნა პირველი პრობლემა, მეორე ისაა, რომ ჩვენს წინააღმდეგ დაიწყეს ასე ვთქვათ, დევნა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომ ეს არის თითქოს ამომრჩევლის მოსყიდვა, რაც სრული აბსურდია. არანაირ მოსყიდვას ეს რა თქმა უნდა არ წარმოადგენს, მაგრამ გარკვეულ პრობლემას მაინც ქმნის. ძირითად პრობლემას სამთავრობო ბარიერები ქმნის, დაწესებული კარანტინი, როგორც გითხარით, თურქეთთან საზღვრის დაკეტვასაც გულისხმობს, არადა თურქეთის საზღვრის გადმოკვეთა არის პრინციპული ნაწილი ხსენებული პროგრამისა. ჩვენ ამ პროგრამას მაინც ვახორციელებთ, თუმცა უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ეს ხორციელდებოდა კარანტინის დაწყებამდე. წამლის სააგენტოც რა თქმა უნდა არის ყველაფერში თანამონაწილე, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა. ასეთი ტიპის საკითხები, ვგულისხმობ მილიარდიანი ბიზნესებს. ეს არის კარტელი, სადაც არის ფინანსური სქემა, რომ შემოდის მოგება, მნიშვნელობა არ აქვს ეს „პეესპეშია" თუ ფარმადეპოში, საბოლოო ჯამში, ერთად იანგარიშება. აქ წამლის სააგენტო, მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტია ამ მონოპოლიურ სქემაში და ბუნებრივია, ის არ ანაწილებს ფულს. წამლის სააგენტოს იყენებენ ისინი, ვინც ფულს შოულობს ამ საქმეში. საქართველოში რომ მედიკამენტები კატასტროფულად ძვირია, ამას ყველა ხედავს, ამ ვითარების შეცვლა ხალხზეა დამოკიდებული. ყველა ქვეყანაში ასეა, რასაც ხალხი გადაწყვეტს, რა არჩევანსაც ხალხი გააკეთებს, შედეგიც ისეთი იქნება. ექნება ჩვენს პარტიას რამდენიმე მანდატი პარლამენტში, იაფი წამლების ეს პროგრამა მინიმუმ გაგრძელდება, უფრო მეტიც, კიდევ რამდენიმე მსგავსი პროგრამის განხორციელების რესურსიც გვექნება.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# რა ელის მსოფლიოს?

## რა ხდებოდა გაეროს საიუბილეო 75-ე სესიაზე?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გასულ კვირას გენასამბლეის საიუბილეო, 75-ე სესია მიმდინარეობდა. წელსვე პრესტიჟულ საერთაშორისო ორგანიზაციას დაფუძნების საიუბილეო 75 წელი შეუსრულდა. „კოვიდ 19“ პანდემიის მიზეზით წლის მთავარი პოლიტიკური მოვლენა დისტანციურად მიმდინარეობდა. მსოფლიოს ქვეყნების მეთაურები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპიც ვიდეოჩართვის საშუალებით გამოვიდნენ მოხსენებით. ენაკვიმატმა ჟურნალისტებმა ამის შესახებ იხუმრეს. ალბათ მსოფლიოს რუკაზე ვერ იპოვეს ნიუ-იორკიო.

სესიაზე დამსწრეები პირბადეებით იყვნენ. ამასთან, ნებისმიერ ქვე-



ყანას მხოლოდ ერთი დიპლომატი წარმოადგენდა. ტრადიციულად გაეროში, გენასამბლეაზე წყდება მსოფლიოს პოლიტიკური მომავალი, ყოველ შემთხვევაში იკვეთება სამოქმედო გეგმის კონტურები. ამჯერად მსოფლიოს პოლიტიკოსებმა ძირითადად კორონაზე და მასთან ბრძოლის გზების ძიებაზე გაამახვილეს ყურადღება. თუმცა, არც არსებული რთული პოლიტიკური სიტუაცია, დაუტოვებიათ უყურადღებოდ. გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერაშმა შეშფოთებით განაცხადა მსოფლიოს ქვეყნები პოლიტიკურად სახიფათო გზით მივდივართო. მისივე განცხადებით, „სამყაროს ორი მსოფლიო ომის გადატანა მოუხდა, ვიდრე წამყვანი ქვეყნების მეთაურები მიხვდებოდნენ, სადაო საკითხების მოსაგვარებლად მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ. ამიტომაც შეიქმნა 75 წლის წინ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“, რომელსაც დღეს რეფორმირება სჭირდება“ გუტერაშმა პირდაპირ მიმართა აშშ-ს და ჩინეთს „...თქვენს შორის და საერთოდ სამყაროში უკვე მიმდინარეობს გაგანია სავაჭრო ომი, ახლა მთავარია თავიდან აიცილოთ ახალი ცივი ომის დაწყება“.

მხოლოდ 7 წუთს გაგრძელდა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიმართვა გაეროს სესიისადმი. საინტერესოა, რომ თავის გამოსვლაში ტრამპს რუსეთი ერთხელაც არ უხსენებია. სამაგიეროდ კრიტიკის ქარ-ცეცხლში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინეთი გაატარა. იგი კვლავ აზიელებს ადანაშაულებს ვირუსის გავრცელებაში. ტრამპის განცხადებით, სწორედ ჩინელებს უნდა შეეჩერებინათ მსოფლიოში ვირუსის გავრცელება. „... თავდაპირველად გვიმტკიცებდნენ ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე არ ვრცელდებაო. აღმოჩნდა ასე არ ყოფილა. პასუხი უნდა მოვთხოვოთ ქვეყანას, საიდანაც გავრცელდა ეს ვერაგი ავადმყოფობა“ — აღნიშნა თავის გამოსვლაში დონალდ ტრამპმა.

„... ჩვენ არანაირი ომი არ გვინდა, არც ცივი და არც ცხელი — თქვა თავის გამოსვლაში ჩინეთის ლიდერმა სი ძინპინმა — სავაჭრო ომი, რომელიც ჩვენ არ დაგვიწყია, მსოფლიო ეკონომიკას აზარალებს და არა მხოლოდ რომელიმე ცალკეულ ქვეყანას... რამდენიც არ უნდა აკრიტიკონ გაერო, ქვეყნებს შორის სადაო საკითხების მოსაგვარებლად და დიალოგისთვის სამყაროში სხვა ადგილი არ არის, ამიტომ გაერომ უნდა აიღოს ინიციატივა მსოფლიოში საერთაშორისო პრობლემების მოსაგვარებლად“.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმაც ყურადღება ვირუსთან ბრძოლაზე გაამახვილა. მისი აზრით, დაავადების დასამარცხელად ერთობლივი ძალისხმევაა



საჭირო. პუტინი გამოვიდა ინიციატივით შეიქმნას „მწვანე კორიდორები“, ცალკეულ ქვეყნებს მოუხსნან დროებით სანქციები, რათა მიაწოდონ მედიკამენტები, საკვები პროდუქტები, რაც ხელს შეუწყობს პანდემიასთან ეფექტურ ბრძოლას. მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის, რუსეთის პრეზიდენტი აუცილებელ პირობად კოსმოსში შეიარაღების აკრძალვას მიიჩნევს, პოლიტოლოგების შეფასებით, გაეროს საიუბილეო თარიღმა ულიმღამოდ ჩაიარა, რასაც დაემატა პოლიტიკური გაურკვევლობა, ღიად დარჩა საკითხი თუ რა ელის სამყაროს მომავალში.

გასულ კვირას დონალდ ტრამპმა წარადგინა უმაღლეს სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე მისთვის სასურველი კანდიდატი — ემი კონი ბარეტი. პირობას არ გადაუხვია და გარდაცვლილი გინზბურგის ადგილზე ქალის კანდიდატურა წამოაყენა. ემი ბარეტი 48 წლის გახლავთ, გათხოვილი, მრავალშვილიანი, 7 შვილის (2 ნაშვილებია) დედა, მორწმუნე კათოლიკე, კონსერვატორული შეხედულებით. მუშაობს სააპელაციო სასამართლოში.

„...თუ სენატი დამდებს პატივს და დამამტკიცებს მოსამართლედ, ყოველთვის პირნათლად შევასრულებ ჩემს მოვალეობას. საკუთარი პოლიტიკური შეხედულება მოსამართლემ ყოველთვის გვერდზე უნდა გადადოს და სამართლიანი ვერდიქტი გამოიტანოს“ — თქვა ემი ბარეტიმ.

დემოკრატები შეაშფოთა დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებამ. მათთვის მიუღებელია კონსერვატიული შეხედულების ადამიანის მოსამართლედ დანიშვნა. კულუარებში უკვე საუბრობენ, რომ მოსამართლედ დამტკიცების შემდეგ ბარეტმა შესაძლოა გააუქმოს ერთსქესიანთა ქორწინებაო, რაც კიდევ უფრო დიდ შეშფოთებას იწვევს დემოკრატების ბანაკში. მათი მხრიდან მუქარაც გაისმა — თუ სენატი დაამტკიცებს ბარეტის მოსამართლედ სენატის შენობას გადაწვავენ. ტრამპს უკან დახევა არ სჩვევია და არც ამჯერად გაითვალისწინებს კონკურენტ ჯო ბაიდენის მოწოდებას არჩევნების დასრულებამდე არ დანიშნოს მოსამართლე.

მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სამზადისი აშშ-ი ახალ ფაზაში გადავიდა. დემოკრატების კანდიდატი ჯო ბაიდენი საზოგადოებაში ნაკლებად გადის, მომავალ ტელედებატებისთვის ემზადება. ამასობაში დონალდ ტრამპი დღეში 2–3 შტატში ყოფნას და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას ასწრებს.

ექსპერტების შეფასებით, ტრამპის ვოიაჟებმა შედეგი გამოიღო. ზოგიერთ შტატში, სადაც ბაიდენი ლიდერობდა, სიტუაცია შეიცვალა და ამჯერად უკვე ტრამპი დაწინაურდა. მოქმედმა პრეზიდენტმა შეძლო ფერადკანიანი ამომრჩევლის დიდი ნაწილის გადაბირება. ამიტომაც თამამად განაცხადა „...აბრაამ ლინკონლის შემდეგ შავკანიანი მოსახლეობისთვის იმდენი არავის გაუკეთებია, რამდენიც მე შევძელი“. ჯო ბაიდენის გაქილიკებას ტრამპი ხელიდან არ უშვებს. გასულ კვირას ნიღბის ტარების გამო გააკრიტიკა. „... იგი სულ ნიღბით დადის. რას იზავთ, მოსწონს ნიღაბი. დებატებშიც ნიღბით გამოვა? აბა, რატომ დახარჯა უამრავი ფული პლასტიკურ ოპერაციაში თუ სახეს ნიღაბში მალავს?“ ბაიდენს აღარც ამერიკული პრესა ინდობს. გასულ კვირას იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის მმართველ ბრეჟნევს შეადარეს?!). რატომ, უფროსი თაობის მკითხველი კარგად გაიგებს.

გასულ კვირას ფართო საზოგადოებისთვის მოულოდნელად ბელორუსში პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს უკვე მეექვსე ინაუგურაცია გაიმართა. „...ბელორუსში ფერადმა რევოლუციამ ვერ გაიმარჯვა“ — განაცხადა ფიცის დადების შემდეგ ლუკაშენკომ. ღონისძიება, ფაქტობრივად გასაიდუმლოებული იყო, ბევრი ქვეყნის ელჩიც არ მიუწვევიათ. მიზეზი ჰქონდათ — ოპოზიციას წინასწარ ჰქონდა დაანონსებული, ინაუგურაციის დღეს მოეწყოთ არეულობა, არ გამორიცხავდნენ სისხლის დაღვრას მომიტინგეების რიგებში. ამიტომ ბელორუსის ხელისუფლებამ უარი თქვა პომპეზურ ღონისძიებაზე. თუმცა, ექსპერტების შეფასებით ქვეყანაში ფერადი რევოლუციის საფრთხე ჯერ კიდევ არ განელებულა.



სამწუხაროდ, წლეულს უკვე, მეორედ იფეთქა სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებულმა დაპირისპირებამ. ფაქტობრივად სრულფასოვანი ომი გაჩაღდა — ავიაციის, მძიმე ტექნიკის, არტილერიის გამოყენებით.

კვირა საღამოს, სავარაუდოდ ვითარების მკვეთრად გამწვავების შემდეგ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ პაშინიანმა სასწრაფოდ დაურეკა რუსეთის პრეზიდენტს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ პუტინმა მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი თავის მხრივ დაუკავშირდა აზერბაიჯანელ, სომეხ და თურქ კოლეგებს ანალოგიური მოთხოვნით. დაპირისპირებულ მხარეებს იგივე მოუწოდეს გაეროს, ევროკავშირის და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. ორივე მხარეს არის მსხვერპლი, მათ შორის მშვიდობიან მოსახლეობაში. შეძლებს თუ არა მსოფლიო კონფლიქტის შეჩერებას ძნელია წინასწარ განსაზღვრა. ერთი კი ნათელია საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს დიდი გარჯა, რათა მეზობლების კონფლიქტში ჩვენც არ ჩაგვითრიონ. საფრთხე არსებობს, რადგან მესამე მეზობელის თურქეთის ხელისუფლების განცხადებით აზერბაიჯანის მხარეზე არიან და ყველანაირადაც დაეხმარებიან. თურქეთი კი ნატოს წევრია.

სომხეთს, სავარაუდოდ რუსეთი დაუჭერს მხარს. მით უფრო, რომ გიუმრში რუსეთის დიდი სამხედრო ბაზაა განთავსებული. მართალია, ორ ქვეყანას შორის შეტაკება სადაო ტერიტორიაზე, მთიან ყარაბაღშია, მაგრამ არის საშიშროება გასცდეს ავტონომიის ფარგლებს. საქართველოს გულშემატკივარი რეალურად არავინ არის, ადვილი შესაძლებელია იოლადაც გაგვწირონ. ამიტომაც ფრთხილად ვიყოთ, რათა ჩვენც არ მოგვწვდეს ომის ცეცხლი.

**გია ბუდული**
551 71 27 07

# კახელები, ლაკალე ძია და კანაფის პლანტაციები ურუგვაიში

## რეპორტაჟი ურუგვაიდან

წინა კვირის შაბათ დღეს ნოდარა მელაძემ „ჭუტავიზიის“ მეშვეობით და საშუალებით ისეთი ამბავი „გახეთქა“, მე და სამიოდე ტალიკა ბიჭი სამხრეთ ამერიკაში გადავფრინდით, კერძოდ ურუგვაიში. ბიძინა ივანიშვილმა დაგვავალა, ურუგვაი-ბრაზილიის საზღვარზე შარშან კანაფი დავთესე, წელს კაი მოსავალს ველოდებოდი, მაგრამ რაკი ნოდარამ გაიგო, აწი აღარაფერი გამოვა, უნდა ჩახვიდეთ და პლანტაციებს ცეცხლი წაუკიდოთო, კვალი უნდა წაშალოთო. ვუთხარი, ნოდარას კეთილებიც მოვტ... ან, ამოდონა ნაშრომს ცეცხლი რათ უნდა წავუკიდოთ-მეთქი? არაო, რაკი ნოდარამ გაიგო, ალბათ გვარამიასაც ეტყვის, გვარამია ელისო კილაძეს ეტყვის, გადაფრინდებიან ურუგვაიში და დაიწყებენ ექსპერიმენტების ჩატარებასო. გვარამიას



ამბავი რომ ვიცი, შევარდება სადმე ტბაში, უცებ გამოჩნდება ნიანგი, გამოეკიდება, შეიძლება რამე მოაჭამოს და მერე აკრიახდება, ნიანგი ბიძინამ მომიგზავნაო, სპეციალურად გამოუშვაო.

 აი, ეხლა მანდ გაჩერდით, ძალიან მაგრადა სცდებით-მეთქი, შევეპასუხე ბატონ ბიძინას.

ვითომ რათა ვცდებიო?

იმიტომ, რომ ჩაჯვი გვარამიას არც ერთი ნიანგი არ მიეკარება-მეთქი.

აჰა, მივხვდი, რასაც გულისხმობ, მაგრამ ზოგიერთი ნიანგი ისეთი აგრესიულია, ეგეთებსაც ერჩისო.

კარგი, ჯანდაბას, წავალთ და გადავბუგამთ იქაურობას, ნოუ პრობლემ-მეთქი.

ცა ჯერ არც კი იყო ხეირიანად გახსნილი, მივცვივდით აეროპორტში. ბიჭებმა ბენზინით სავსე კანისტრები „ბაგაჟნიკში“ შეყარეს. პილოტმა გაგვაფრთხილა, პაპიროსებს არ მოუკიდოთ, თორემ ჩამოვცვივდებითო. აუ, ჩამოვცვივდებით და მიწას სად გავექცევით-მეთქი? – ვიხუმრე ჩემებურად. პილოტმა ჩაიცინა და საჭეს მიუჯდა. გოგია ეუბნება, ერთ-ერთი ჩვენთაგანი, წინ იყურე, ბიჭო, კავკასიონ არ შეგვახეთქოო.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ბიძინა ივანიშვილმა კანაფის გადასაბუგად კახელები გაგვაგზავნა, თქვენ ყოველ შემოდგომით, მოსავლის აღების შემდეგ ალაზნის ველს ცეცხლს წაუკიდებთ ხოლმე, ეგ საქმე კარგად გამოგდით, პროფესიონალები ბრძანდებითო. მართლაც, ერთადერთი, რაც მაგრად ვიცით, ნაკვეთებში „პაჟრების“ გაჩენაა. მართალია, ერთი-ორჯერ შეგვეშალა და ცეცხლი ვენახებს წავუკიდეთ, მაგრამ ყველაფრი პრაქტიკით არი, ბოლო დროს შეცდომები აღარ მოგვდის. სხვათა შორის, რამოდენიმეჯერ კანაფიც გადავბუგეთ ალაზნის ველზე ჩვენივე ინიციატივით, არავის მითითებას არ დაველოდებივართ იმიტომ, რომ ხშირად ვპოულობდით დახეულ „ტრუსიკებს“ და ეს იყო აუტანელი. რამოდენიმეჯერ ვიპოვეთ ლიფებიც. მოდიოდნენ ბალღები სხვადასხვა სოფლებიდან, ეწეოდნენ შეკეთებულ პაპიროსსა და იწყებოდა „ლიფ-ტრუსიკების“ ფლეთვა.

რამდენი საათი უნდა ვიფრინოთო? – იკითხა ჯემალამ და შუბლზე სამი ნაოჭი გაუჩნდა. იცოდა, რომ 12 საათზე მეტი ცაში უნდა გაგვეტარებინა, უბრალოდ ჩვენ გვცდიდა, ნეტავ აზრზე თუ არიანო. კავკასიონი გადავიარეთ, თვითმფრინავმა რამდენიმე ადგილზე ჩაარტყა, წარბებიც არ შეგვიხრია, ისეთი დავიჭირეთ, გეგონება დღეგამოშვებით ურუგვაიში დავფრინავდით. მარტო ჯემალა შეჰყვირებდა ხოლმე: აცე, ვიროო!

ჩაგვძინებოდა. თვალები რომ გავახილეთ, ერთხმად ვიკითხეთ, რომელ განედზე ვიმყოფებითო? პილოტმა შეგვატყობინა, ატლანტის ოკეანის თავზე ვართ, მალე მონტევიდეოში შევალთ, ფაქტობრივად მოვედითო. ფანჯრებთან მივცვივდით, ქვემოთ უკიდეგანო წყალი ლივლივებდა. ჰორიზონტზე მაღალკორპუსებიანი ქალაქი მოჩანდა. გოგიამ თქვა, ცოტა ხანს აეროპორტში უნდა დამელოდოთ, პრეზიდენტ ლუის ალბერტო ლაკალე პოუსთან შევირბენ, საქმის კურსში ჩავაყენებ, აქ რომ ვართ და დავბრუნდები, ბარემ ვთხოვ, თუ ბენზინი დაგვაკლდა, ერთი-ორი კანისტრა გვასესხოსო.

გოგია პრეზიდენტთან წავიდა, ჩვენ აეროპორტის ეზოში ჩამოვსხედით, ცოტა ხანს ხალხის მიმოსვლას დავაკვირდით, ზოგი შავი იყო, ზოგი – თეთრი, ზოგი – ყვითელი, ზოგი კიდევ ბრინჯაოსფერი. მრავალფეროვანი ქვეყანა ყოფილა. სხვათა შორის, ძალიან ჰგავს საქართველოს, ეგენიც 3 მილიონ „სჩემტა“ არიან და 2 მილიონზე მეტი ქალაქშია გამოქცეული. აქაურების დევიზია: „**Libertad o Muerte**“ („თავისუფლება ან სიკვდილი“).

გოგია საათნახევარში დაბრუნდა, ყველაფერი ხოშიანად არი, ლაკალე ძიამ კარგად მიმიღოო. ჩავეძიეთ, კარგად მიღება რაში გამოიხატებაო? რავი, თქვენი ვიზიტის მიზანი და ამოცანა არ მომწონს, მაგრამ რაკი არ იშლით, თქვენი საქმისა თქვენ იცითო. სხვათა შორისო, ნოდარა მელაძემ დამირეკა და მეუბნება, მანდ რა დღეში ხართ, რა მარიხუინობია გაგიჩაღებიათ, ბიძინა ივანიშვილს რეიზა დაათესინეთო?! კაცი გაგიჟებულია, შეკითხვები დამაყარა.

ჯემალა კინაღამ გაგიჟდა, ესე იგი, ნოდარამ დაურეკა ლაკალე ძიასაო?!

გოგიამ მხრები აიჩეჩა, რავი, პრეზიდენტმა ეგრე თქვა, ხო არ მოიტყუებოდაო? თურმე შეკითხვები დაუყრია: საიდანაო? რანაირადაო? როგორაო? ზემოდან თუ ქვემოდანაო? ჰორიზონტალურად თუ ვერტიკალურადაო? ლაკალე ძიასაც დაუსვამს ერთი შეკითხვა – შვილო, შენ შიგ ხო არა გაქვსო?!

ილოს თვალები ნორმაზე მეტად გაუფართოვდა, კინაღამ კაკლები გადმოსცვივდა, მერეო?!

გოგიამ მოკლედ მოუჭრა, რაღა მერე, პრეზიდენტს ყურმილი დაუხეთქებიაო.

წავედით, ილოს ურუგვაიელმა ნაცნობმა ჯიპით მოგვაკითხა, ტიპი ისე გახუხულიყო მზეზე, ვერ გავარკვიეთ, შავი იყო თუ თეთრი და მერე გაშავდა.

საათნახევარი ვიარეთ. ცხელოდა. გზად ბიზონები და მაიმუნები გვხვდებოდნენ, ბეჰემოტებიც. გზის ორივე მხარეს ნაკვეთები დამუშავებული იყო. ერთი-ორგან მარიხუანას ნათესულობაც შევნიშნეთ. აქ თურმე ბრინჯიც მოჰყავთ და ალაოც. თქვენ წარმოიდგინეთ, სულ მქონდა შეგრძნება, რომ ვიღაცები გვითვალთვალებდნენ, მე ჩაჯვი გვარამიაზე ვიეჭვე. ჯემალამ თქვა, ასიანი ნოდარა იქნებაო. ილომ დაიჟინა, არც ერთია, არც მეორე, მელაძეს ყველა გადაცემაში ჭარბპომადიანი ქალი რომ დაჰყვება ძუნძულით, ეგ იქნებაო, თუმცა ფეხებზე მკიდიაო. მეც მკიდია, მაგრამ სანამ თავზე დაგვადგებიან, პლანტაციები უნდა დავწვათ, კვალი წასაშლელია-მეთქი. შოფერმა გვკითხა, პრობლემა გაქვთო? ამ დროს ერთი უცნაური აზრი მომივიდა თავში, მე მგონი, ეს ტიპი გადაცმული ნოდარა იყო. ილოს ჩუმად გავუჩნარე. არა, ტოოოო, რას მიჰქარავო?! კაი-მეთქი.

ჩავიცუცქეთ, რუკა ამოვიღეთ, გავშალეთ, დავაზუსტეთ, „პაჟარი“ საიდან უნდა გაგვეჩინა. გოგიამ თქვა, რუკაზე შუა ადგილია მითითებული, მაგრამ რაღაცნაირად არ მომწონს, ქარი ქვემოდან უბერამს, თანაბარი წვა არ ექნებაო. ჯემალა დაეთანხმა, მაგრამ იქვე დასძინა, გეგმას ვერ გადავუხვევთო. გადაწყდა, ორი კანისტრა უნდა დაგვეცალა პლანტაციების გულში. ილო და გოგია წავიდნენ. თხუთმეტ წუთში მობრუნდნენ, კი მოვაპკურეთ ბენზინი, მაგრამ ასანთის წაღება დაგვავიწყდა, ვერ წავუკიდეთო. აუუუ... აბა, ესენი არიან, რააა! მივეცით და თან გავაფრთხილეთ, რომ უნდა ერბინათ, რათა ბენზინი არ აორთქლებულიყო.

ჯერ აგიზგიზდა, ირგვლივ სასიამოვნო ტკაცა და ტკუცი ისმოდა. ცეცხლი ნელ-ნელა გაძლიერდა, ჰაერში კანაფის სურნელი დატრიალდა, მერე კი ჯანღივით თეთრი ბოლი წამოვიდა, ურუგვაის ცაზე ნისლი ჩამოწვა.

გოგიას ტელეფონზე ძალიან მკაცრი ზარი გაისმა. ამან უპასუხა. მეორე მხრიდან ვიღაცა ყვიროდა. ეს დამუნჯდასავით, მაგრამ როცა ის ყვირილს მორჩა, უთხრა, ეხლა აღარაფერი ეშველება, მაინც შაბათ-კვირაა, შეიძლება უკეთესიც კი იყოსო, კანაფის ბოლი სასარგებლოა ხანდახანო. იმან გათიშა. გოგიამ თქვა, ლაკალე ძია იყო, თურმე მთელი ურუგვაი იცინის, ზოგს კიდე დორბლი ჩამოსდისო.

ჯემალამ, რათაო?

გოგიამ, რათა და ამდენი კანაფი რო დავახრჩოლეთ, ხალხმა ჩაისუნთქაო.

აეროპორტში დავბრუნდით. პილოტი თვითმფრინავთან ბოლთასა სცემდა, დაგვინახა თუ არა, ხელები გაშალა, სადა ჰყრიხართ ამდენ ხანსაო? სხვათა შორის, ერთი საბურავი დაეშვა და გამოვცეცალეთ. ჯემალამ, ჰაერში „პაკრიშკა“ რა ფეხებად გვინდაო? ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადავხედეთ და მხრები ავიჩეჩეთ.

როგორც იქნა, ჩამოვფრინდით საქართველოში. დავალება შესრულებულია, კვალი წაშლილია. შეიძლება ჩაჯვთა ბრიგადამ გადამწვარი მინდორი აღმოაჩინოს და ბერას კვალზეც გავიდნენ, მაგრამ მტკიცებულებას ვეღარ დადებენ.

ანგარიში ჩავაბარეთ, მადლობები გამოგვიცხადეს და დავიშალეთ. თუ რამე, მზად ვართ, ნებისმიერი კომპრომატი გავანადგუროთ, გადავწვათ და გადავბუგოთ. როცა მამული განსაცდელშია, არავის და არაფერს მოვერიდებით. ვემსახურებით საქართველოს!

**P.S.** მეგობრებო, ძვირფასო მკითხველებო, გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ზოგიერთი ხუმრობით დაწერილს სერიოზულად იღებს. ამიტომ ამჯერად საგანგებოდ გაფრთხილებთ, რაც ზემოთ დავწერე, ყველაფერი არის ხუმრობა, ანუ იუმორი, არ დაიჯეროთ გარდა ერთისა – ნოდარა მელაძემ მართლაც იბოდიალა ტელევიზორში, ბიძინა ივანიშვილს ურუგვაიში კანაფის პლანტაციები აქვს, წელს 40 ტონა მარიხუანას ელოდებაო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ურუგვაიში ნამდვილად არსებობს რაღაც პლანტაციები, რომელიც ეკუთვნის ბიზნესმენ თემურ უგულავას. ამბობენ, ეს პიროვნება ადრე „ნაცმოძრაობასთან“ იყო დაახლოებულიო. მე არ ვიცი, თავს ვერ დავდებ ამ ინფორმაციის უტყუარობაზე. მოკლედ, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ჩაჯვთა ბრიგადის წევრები ჭკუაზე აღარ არიან, ათას სისულელეს იგონებენ. მადლობა ყურადღებისთვის, კარგად ბრძანდებოდეთ.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61







# ნიკა გვარამია: შენი დედა მოვტ...ან, რუსეთო! გიორგი გაბუნია: შენი მიცვალებული დედა, პუტინო!

კვირას, „მთავარ აქცენტებში“, ნიკა გვარამიამ თავისი უმცროსი მეგობრის გიორგი ჯულიეტოვიჩ გაბუნიას ტრადიცია გააგრძელა და სულ „შენი დედა მოვტ.ან რუსეთო“-ო, იძახა.

გაბუნიას გინება ასეულობით მილიონი ზარალი დაუჯდა საქართველოს, ახლო მომავალი გვაჩვენებს, რამდენი მილიონით გვაზარალებს გვარამიას მიერ დედა შეგინებული რუსეთი.

ღმერთს მადლობა შევწიროთ, თუ მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიკური ზარალი გვაკმარა და სამაგიეროს გადახდის მიზნით, გვარამიაზე გაბრაზებულმა, მთელ საქართველოს თუ არ მოუკითხა დედა?...



გვარამიას და გაბუნიას რა ენაღვლებათ, ხან პუტინს შეაგინებენ, ხან რუსეთს, გადახდა კი ჩვენ გვიწევს.

რუსებს შემოუთვლიათ: — გავიკითხ-გამოვიკითხეთ გვარამია-გაბუნიას რასპუტინობის ამბავი და დიდი ვერაფერი სანუგეშო... გვაინტერესებს, რითი აპირებენ ჩვენი დედების მოტ.ვნას, რითი, თითითი?

სიდედრის თანდასწრებით ქმარი აგინებს ცოლს: ია ტვაუ მამუ იბალ! ია, ტვაუ მამუ იბალ, „ტიოშა“ ამოიკვნესებს: დარაგოი ზიატ, ტი ვსიო აბეშაეშ და აბეშაეშ... მაგრამ მაგათი მოტ.ნული ჯერ არავინ გვინახავს.

ჩემი მეზობელი ვალიკო მიმტკიცებს — ეგ ნიკუტა და ჯულიეტოვიჩი რუსებთან არიან მოლაპარაკებულნი... ამათ, ამ პროვოკატორებმა, დედის გინებით რუსებს „პოვოდი“ უნდა მისცენ, რომ მერე იმათ მთელ საქართველოს მოუხნან დედა. თანაც დააკვირდი, რა დროს ირჩევენ — გაბუნიას, მაინცდამაინც ტურიზმის დაწყების დროს გაახსენდა პუტინის მიცვალებული დედა, გვარამიას — არჩევნების წინ აუჩუჩუნდა მაინცდამაინც... ვითომ შემთხვევით ხდება ასეთი დამთხვევები?

შეიძლება, ვალიკო მართალია. მითუმეტეს, ნაცებს რუსებთან კულუარებში შარიშურის დიდი გამოცდილება აქვთ, ნიკუტა და ჯულიეტოვიჩი კი ნაცების ზონდერკუტუნიები რომ არიან, ყველამ იცის.

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ მთლად სახუმაროდ რომ არ გვაქვს საქმე, ხომ ფაქტია?



ესენი, ეს პროფესიონალი პროვოკატორები, სანამ ძალიან დიდ შარს არ გადაგვყრიან, მანამდე არ მოისვენებენ?

გინება უღირსი საქციელია, მითუმეტეს, დედის გინება. როცა უზარმაზარ იმპერიას დედას აგინებ და ამით შენს პატარა ქვეყანას ამ სასტიკ იმპერიას უპირისპირებ, არ არის ეს, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის მიზანმიმართული მტრობა?

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომელიმე კრამიტდაცურებულმა ჟურნალისტმა რომ შემოგვაგინოს — შენი დედა მოვტ.. ან, საქართველო-ო, ხომ ფეხზე დადგება მთელი ქვეყანა?

გვარამია, შე იდიოტო, გვარამია, შე პროვოკატორო, რა გინდა ამ ისედაც გაწამებული ქვეყნისგან, რას გვიჩალიჩებ, რა მახეებს გვიგებ, რა სამარეს გვითხრი?

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქმედება, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, სისხლის სამართლის დანაშაულია და უმკაცრესად ისჯება.

გვირამია და გაბუნია ხელშეუხებლობის რა ისეთი სტატუსით სარგებლობენ, რომ არავინ არაფერზე თხოვს პასუხს?

# გამოგონებები, რომლებსაც პირველ მსოფლიო ომს უნდა ვუმადლოდეთ

ომებს კაცობრიობისთვის უბედურება მოაქვს, ეს უდავო ფაქტია. მაგრამ სამართლიანები რომ ვიყოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ომების დროს გაჩნდა ბევრი არაჩვეულებრივი გამოგონება, რომლებსაც დღეს მთელი მსოფლიო იყენებს.

პირველი მსოფლიო ომი ისტორიაში დარჩება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი საომარი კონფლიქტი. ომის მსვლელობისას ევროპის ტერიტორიაზე გამოსცადეს ასობით ახალი სახეობის იარაღი, რომლებიც მოდერნიზებული სახით დღესაც წარმატებით გამოიყენება. მაგრამ გარდა საომარი იარაღებისა, სუბმარინებისა, ტყვიამფრქვევებისა და ბომბდამშენებისა, ომის პირობებში ადამიანებმა ბევრი ისეთი რამ გამოიგონეს, რომელთა გარეშეც დღევანდელი ჩვენი ყოფა წარმოუდგენელია.

**სისხლის გადასხმა**. 1917 წელს მედიცინაში ნამდვილი გადატრიალება მოხდა — სამხედრო ჰოსპიტლებში პირველად გამოიყენეს სისხლის გადასხმა. სულ ცოტა ხნით ადრე დაიყო სისხლი ერთმანეთთან შეუთავსებელ ჯგუფებად, შემუშავდა მაცივარში მასალის შენახვის ტექნოლოგიები და აღმოაჩინეს ნატრიუმის ციტრატის თვისება, რომელიც სისხლის შედედებას უშლიდა ხელს.

1902 წელს დასრულებული ანგლო-ბურების ომი უკანასკნელი იყო, რომლის დროსაც სანიტარული მიზეზით დაღუპული ჯარისკაცების რაოდენობამ საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა რაოდენობას გადააჭარბა. სისხლის გადასხმამ ბრიტანეთის არმიის ჯარისკაცების 92%-ს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

**პლასტიკური ქირურგია**. სახეზე კანის გადანერგვის პირველი ოპერაციები სხეულის სხვადასხვა ადგილებიდან პირველად ახალზელანდიელმა ქირურგმა ჰაროლდ გილესმა გააკეთა. ექიმი ბრიტანეთის ზურგში ერთ-ერთ ჰოსპიტალში მუშაობდა და ცდილობდა, დასახიჩრებული მებრძოლებისთვის „ძველი სახე“ დაებრუნებინა.

ოპერაციების მაქსიმალურად ეფექტიანად ჩატარების მიზნით, გილესი კონსულტაციებს სკულპტორებთან გადიოდა. საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ მან გამოსცა წიგნი „სახის პლასტიკური ქირურგია“ და გახსნა მსოფლიოში პირველი კლინიკა, სადაც ოპერაციებს უტარებდნენ ადამიანებს, რომლებსაც დამახინჯებული ჰქონდათ სახე და სხეული.

**ალუმინის პროთეზები**. პროთეზები, რომლებიც დამზადებული იყო მსუბუქი და მყარი მასალისგან, რომელზეც გარე ფაქტორები არ ახდენდნენ გავლენას, პირველი მსოფლიო ომის დროს დამზადდა. ალუმინის პროთეზი პირველად 1912 წელს ბრიტანელმა ინჟინერმა ჩარლზ დეზუნტერმა თავის პილოტ ძმას დაუმზადა, რომელმაც ავიაკატასტროფაში დაკარგა ფეხი.

ომის დროს ეს გამოგონება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ალუმინის პროთეზები ხისაზე ბევრად ძვირი ღირდა, უფრო გამძლე იყო. ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი დაუბრუნდა ნორმალურ ცხოვრებას ამ პროთეზების წყალობით.

**პარაშუტი**. პარაშუტის კონცეფცია ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩის ეპოქაში შემუშავდა. პირველი წარმატებული ნახტომი საჰაერო ბურთიდან 1797 წელს განახორციელა პარიზელმა ანდრე ჟაკ გარნერენმა. მაგრამ ასეული წლების შემდეგ ეს გამოგონება მხოლოდ გართობად აღიქმებოდა და პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა.





1912 წელს რუსმა მსახიობმა და ინჟინერმა გლებ კოტელნიკოვმა გააუმჯობესა მოწყობილობა და წარმოადგინა მსოფლიოში პირველი კომპაქტური დასაკეცი პარაშუტი, რომლის მოთავსებაც შესაძლებელი იყო აეროპლანის მომცრო კაბინაში. კოტელნიკოვის სისტემის პარაშუტმა საბრძოლო ნათლობა საფრანგეთისთვის ბრძოლებში 1918 წელს მიიღო.

მშვიდობიან პერიოდში საპარაშუტო სპორტი პოოპულარულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, პარაშუტს კი იყენებენ ტვირთის მიუდგომელ ადგილებში ტვირთის მიტანის საშუალებად და დედამიწაზე კოსმიური აპარატის დასაბრუნებლად.

**სამედიცინო ბამბა**. პირველ მსოფლიო ომამდე შესახვევ მასალად ჭაობის ხავსს იყენებდნენ, რომელსაც ბაქტერიოციდული თვისებები გააჩნია. იშვიათად იყენებდნენ რბილ ქსოვილს, რომელსაც ფენებად შლიდნენ.

ბამბა სამედიცინო პრაქტიკაში 1914 წელს გამოჩნდა. ეს მასალა დააპატენტა კომპანია Kimberly-Clark-მა, რომელიც ანტანტის არმიებისთვის მედიკამენტების მიწოდებით იყო დაკავებული.

**კოროზიის მიმართ მდგრადი ლითონი**. „უჟანგავი“ ლითონი თითქმის შემთხვევით გამოიგონა მეტალურგმა ჰარი ბრეალიმ ინგლისის ქალაქ შეფილდში. სპეციალისტმა სამხედრო უწყებისგან მიიღო შეკვეთა, შეექმნა საარტილერიო ლულებისთვის მაღალი ტემპერატურის მიმართ მდგრადი ლითონი. ასეთი ქვემეხებიდან სროლა განუწყვეტლივ უნდა განხორციელებულიყო და არ გადახურებულიყო.

ბრეალიმ თავი ვერ გაართვა ამოცანას, თუმცა ექსპერიმენტულ ნიმუშებში აღმოჩნდა შენადნობი, რომელიც კაროზიას არ ექვემდებარებოდა. აღმოჩნდა, რომ ამ ეფექტის მიღება შესაძლებელია, თუ ლითონს ქრომს დაუმატებენ. ეს აღმოჩენა წარმატებით დაინერგა როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მრეწველობაში.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

# საქართველოს მომავლის მესაძირკვლე

სულ ახლახან დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთმა წამყვანმა პოლიტიკურმა ბლოგმა „1828“ ბრიტანეთის საგანმანათლებლო სისტემის გამოწვევებზე სტატია გამოაქვეყნა და წარმატებულ მაგალითად საქართველოში ახლადგახსნილი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაასახელა. პუბლიკაციის ავტორი, განათლების სისტემის მრჩეველი დიდ ბრიტანეთსა და ევროპაში, დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ეს უნივერსიტეტი დიდ კონკურენციას გაუწევს მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს და იმ სტუდენტებს მიიზიდავს აზიიდან და ევროპიდან, რომლებიც განათლების მიღებას დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ი გეგმავდნენ.

საოცარია, რომ მსგავსი მოსაზრება გამოითქვა იმ უნივერსიტეტის მიმართ, რომელიც თავის პირველ ნაბიჯებს ახლა დგამს უმაღლესი განათლების სისტემაში.

ქუთაისში და საერთოდ, საქარ-



თველოში, მსგავსი უმძლავრესი საგანმანათლებლო სისტემის დაარსების იდეა ამ რამდენიმე წლის წინ დაებადა ცნობილ ქართველ ქველმოქმედსა და ფილანტროპს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის მეუღლეს ქალბატონ ეკა ხვედელიძეს.

ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის ეს გამონათქვამი:,,21-ე საუკენე იქნება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ელვის სისწრაფით განვითარების ხანა. მსოფლიო ყოველდღიურად და ყოველწლიურად იცვლება. ამის საფუძველია ცოდნა და განათლება. ჩვენმა წინაპრებმა გარჯით და ბრძოლით შეინარჩუნეს და დაგვიტოვეს ეს მშვენიერი ქვეყანა. დღეს საქართველოს წინაშე მდგარი უმთავრესი ამოცანაა, ფეხი აუწყოს და არ ჩამორჩეს მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროცესებს. ჩვენ გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც სჭირდებათ სათანადო პირობები და ადგილი, სადაც ეს ნიჭი და შესაძლებლობები რეალიზდება. სწორედ ეს არის მთავარი მიზანი, რის გამოც ვაარსებთ ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით და ინფრასტრუქტურით აღჭურვილ საუნივერსიტეტო ქალაქს ქუთაისში, საგანმანათლებლო კომპლექსს, რომელიც იქნება ჩვენი ქვეყნის გზამკვლევი ტექნოლოგიური აფეთქების ეპოქაში“.

დიახაც, რომ საქართველოს მომავალი ახალგაზრდებმა უნდა ააშენონ, ახალგაზრებმა, რომლებიც მათი ინტელექტუალური თუ გონებრივი მომზადებით სრულად უნდა პასუხობდნენ იმ ეპოქის მოთხოვნებს, რომელშიც მათ უნდა იცხოვრონ, იღვაწონ და ებრძოლონ ნებისმიერ გამოწვევას, რომელსაც ეს მოულოდნელად სასტიკი დაუნდობელი 21-ე საუკუნე წამოაყენებს მათ წინაშე. ამდენად ნებისმიერი უმაღლესი დონის სასწავლებლის გახსნა ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მისასალმებელია და ვიმედოვნებთ, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი სულ მალე ჩადგება ქართველ და არა მარტო ქართველ სტუდენტთა მომზადების ავანგარდში.

ყველა პირობა არსებობს საამისოდ, ბიძინა ივანიშვილი ხომ ის პიროვნებაა, ვისი სიტყვაც საქმიანია და საქმე სიტყვიანი. მან არც ამჯერად დააყოვნა და მის განკარგულებაში მყოფი „ქართუ ფონდის“ მეშვეობით ერთი მილიარდი ევრო გამოყო ამ უნივერსიტეტის დასაფუძნებლად.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა თავისი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უნდა უზრუნველყოს ქართველი და უცხოელი სტუდენტების განათლება უმაღლესი სტანდარტების მიხედვით. საწყის ეტაპზე უნივერსიტეტი სტუდენტებს მიიღებს მენეჯმენტის, კომპიუტერული მეცნიერებების და მათემატიკის საბაკალავრო პროგრამებზე. ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი საწყის ეტაპზე 250-მდე აღწევს და ისინი იქნებიან პიონერები და მესაძირკვლენი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მომავალი დიდების.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს



შესთავაზებს კომფორტულ და სრულად აღჭურვილ საცხოვრებელ სივრცეს. კაფეტერიებს, ბიბლიოთეკებს, საზიარო სამუშაო სივრცეებს.

უნივერსიტეტის სტუდენტური გრანტების ფონდი აბიტურიენტებს სხვადასხვა სახის დაფინანსებასა და სტიპენდიას სთავაზობს:

1. სწავლის გადასახადი
2. სტუდენტური საცხოვრებლის გადასახადი
3. სტუდენტური სტიპენდია
4. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბარათი, რომელიც მოქმედებს საუნივერსიტეტო კამპუსზე არსებულ სხვადასხვა ობიექტში. ფონდის დაფინანსება შეიძლება გაიცეს საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი ხანგრძლივობის ვადით. საბაკალავრო პროგრამაზე ოთხი წლით. დაფინანსების შესანარჩუნებლად სტუდენტს უნდა ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება.

ქუთაისის ახლად დაარსებული უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს გერმანიის მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან **(TUM da TUM international Gmbt-Tan)**. არაა შემთხვევითი, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტია მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი ვოლფგანგ ა.ჰერმანი, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერია და ჩვენი ღრმა რწმენით, სასიკეთო კვალს დაამჩნევს ახლადდაარსებული უნივერსიტეტის საქმიანობას. საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტში, ცნობილ ქართველ მეცნიერებთან ერთად, ლექციებს წაიკითხავენ ისეთი სახელმოხვეჭილი უცხოელი მეცნიერებიც, როგორებიც არიან: რუბერტ ბრენდმაიერი, მარტინ კუპიეკი, ბეტინა მაცინოვსკი, ჰელმუტ ზაიდლი, ვოლფგანგ ჯ.პოლი, მარკუს ნოიჰაუზერი, ფლორიან რუპი. თითოეულ მათგანს ზურგს დიდი ცხოვრებისეული და სამეცნიერო მოღვაწეობის გზა უმაგრებს. მაგალითისათვის რუბერტ ბრენდმაიერს მოვიყვანთ. მას საერთაშორისო კომპანიებში, საჯარო სექტორსა და აკადემიაში მუშაობის 30 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. მისი მთავარი კვლევითი ინტერესი არის ლიდერობა, ინოვაციების მენეჯმენტი და გამძლეობა.

ამ უნივერსიტეტის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ იგეგმება კვლევითი ლაბორატორიის ჩამოყალიბება-შექმნა, რომელიც შეისწავლის ონკოლოგიური ტიპის დაავადებებს და მათი მკურნალობის ულტრათანამედროვე საშუალებებს. ქუთაისის საერთაშორისო უნუვერსიტეტის მიზანია, გახდეს საერთაშორისო კვლევისა და განათლების ცენტრი რეგიონში. უნივერსიტეტის სტრატეგია კვლევის სფეროში ითვალისწინებს თანამედროვე და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურისა და ლაბორატორიების ბაზაზე მოხდება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარება უნივერსიტეტში შესაბამისი დარგის მეცნიერებისა და წამყვანი ექსპერტების მოზიდვის მიზნით.




უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს ადრონული თერაპიის ცენტრის შექმნას. აღნიშნულ კვლევით ცენტრში შესაძლებელი იქნება სამეცნიერო კვლევების განხორციელება ელემენტალური ნაწილაკების ფიზიკაში, რადიაციულ ფიზიკაში და ბიოფიზიკაში. კვლევითი ცენტრი ასევე ხელს შეუწყობს პროტონული თერაპიის ცენტრის ჩამოყალიბებას, უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტთან ერთად.

ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ როგორ არ ვირწმუნოთ, რომ ახლო მომავალში საქართველოშიც შეიქმნება ისეთი უმძლავრესი სამეცნიერო- სამედიცინო ცენტრი, რომელშიც წარმატებით გადაიჭრება ქართული მედიცინისთვის ჯერ კიდევ დაუძლეველი პრობლემები. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველივე ამას მოჰყვება თანასწორუფლებიანი ურთიერთობები მსოფლიო განათლების უმთავრეს ცენტრებთან, მაშინ აღარ მოგვეჩვენება უტოპიად, რომ არა მარტო ქუთაისი, არა მარტო საქართველო, არამედ სრულიად კავკასია იქცევა მსოფლიო განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთ უმძლავრეს კერად. რაღა უნდა ითქვას იმაზე, თუ განვითარების რა უმძლავრეს სტიმულად იქცევა ეს უმაღლესი სასწავლებელი ქუთაისისთვის და ქუთათურებისთვის. რომლებიც, ფაქტობრივად ახალ, სისხლსავსე ცხოვრებას დაიწყებენ.

რამდენ მოქილიკეს, ცინიკოსს, ქვეგამხედვარს, ქვეყნის დაქცევისა და იავარქმნის მოსურნეს ჩაუვარდა კოვზი ნაცარში და დარწმუნებული ვართ, ასეც გაგარძელდება მოავალში.

როგორც თავში აღვნიშნე, ბატონი ბიძინა ივანიშვილის სიტყვა ყოველთვის საქმიანი იყო, რისი დასტურიც ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსებაა. მის მიერ განხორციელებული პროექტები მუდამ სულის მოთქმასავით იყო მისი მშობლიური ქვეყნისთვის და ღრმად გვწამს, რომ მომავალშიც ასე იქნება.

**ნატო ივანიაძე**
593 56 48 28

®

**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983